სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

რუსუდან ცერცვაძე

ისრაელი-პალესტინის საერთაშორისო ურთიერთობების თანამედროვე პოლიტიკური და საერთაშორისო სამართლებრივი ასპექტები

სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია

სოციალურ მეცნიერებათა ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის ფაკულტეტის

საჯარო მმართველობის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი:დავით გეფერიძე

გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის პროფესორი

გორი

2019

ანოტაცია

ისრაელი-პალესტინის საერთაშორისო ურთიერთობების თანამედროვე პოლიტიკური და საერთაშორისო სამართლებრივი ასპექტები

სამაგისტრო ნაშრომი „ისრაელი-პალესტინის საერთაშორისო ურთიერთობების თანამედროვე პოლიტიკური და საერთაშორისო სამართლებრივი ასპექტები“ შეეხება თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობების ერთ-ერთ გლობალურ პრობლემას, რომელიც საუკუნეების მანძილზე გრძელდება.**ნაშრომის მიზანია** შეგვესწავლა პალესტინა-ისრაელს შორის არსებული თანამედროვე კონფლიქტის მიზეზი და მისი სამართლებრივი და მშვიდობიანი მოგვარების ხერხები და საშუალებები.არსებული კონფლიქტი მნიშვნელოვანია არა მხოლოდ ამ ორი დაპირისპირებული მხარისათვის არამედ მთელი მსოფლიოსათვის, ამიტომ საკვლევი თემა **აქტუალურია.** ჩატარებული **კვლევის ამოცანაა,** ჩვენება იმისა,თუ რა შედეგებს გვაძლევს აღნიშნული კონფლიქტი, როგორ ირღვევა ადამიანის უფლება მშვიდობიან გარემოში ცხოვრებისა და როგორ ხდება მათი სიცოცხლის მოსპობა მიტანილი იერიშების შედეგად და რამდენად დიდია მსხვერპლი.**კვლევის საგანია** საერთაშორისო სამართლებრივი დოკუმენტების ანალიზი - გაეროს რეზოლუციები,დადგენილებები და სამართლებრივი ნორმები,რომლითაც რეგულირდება აღნიშნული კონფლიქტი.**ძირითად შედეგად** მტკიცდება,რომ გაერომ და სხვა მთავრობათაშორისმა შესაბამისმა საერთაშორისო ორგანიზაციებმა აქტიური მონაწილეობა მიიღონ პალესტინა-ისრაელის კონფლიქტის მოგვარებაში,მოხდეს მხოლოდ მისი მშვიდობიანი საშუალებების გამოყენებით მოგვარება.**კვლევის სიახლე** არის,რომ შევეცადეთ განგვეხილა ყველა საკითხი,რომელიც ამ თემაზე არის დაწერილი და შესაბამისად დაგვეფიქსირებინა მოსაზრებები,რომელმაც ღრმა კვალი დატოვა ისრაელი-პალესტინის ისტორიაში.ყოველივე ამის შესახებ შეფასებები დღესაც გრძელდება.

R. Tsertsvadze

The modern political and legal aspects of Israeli-Palestinian international relations

Annotation

Master thesis,, The modern political and legal aspects of Israeli-Palestinian international relations'' refers to one of the global problems of modern international relations which is been lasting for centuries.

The aim of the thesis is to learn the cause of the modern conflict between Israel and Palestine and the legal and peaceful ways of solving the conflict.

This conflict is important not only for the two sides of the confrontation but also for the whole world, so the research theme is actuall.

The goal of the research is to show the results of the conflict, how the right of living in peaceful environment is violated, how their lives are being destroyed as a result of attacks and how big is the numberof victims.

The subject of research is to analyze of international resolutions, decisions and legal norms of UN, which are used for the conflict regulations.

The main result of this research is that UN and other corresponding intergovernmental international organizations should participate in solving Israel-Palestine conflict only with peaceful ways.

The news about reseatch is that we tried to analyze every aspects that is written on that topic,therefore express our oponions that left the deep footprint on the history of Israeli-Palestinian.Even today the assessment are made on above mentioned topics.

სარჩევი

თავფურცელი.....1

ანოტაცია.....2

შინაარსი.....4

შესავალი.....6

თავი I: ისრაელი-პალესტინის ისტორიული და პოლიტიკური ურთიერთობები.....8

1.1 პალესტინის ისტორიული და პოლიტიკური ურთიერთობები და დემოგრაფია.....8

1.2 ისრაელის ისტორიული და პოლიტიკური ურთიერთობები და დემოგრაფია.....11

თავიII: ისრაელი-პალესტინის კონფლიქტში ჩართული ძირითადი სუბიექტები და ტერიტორიები.....14

2.1ღაზის სექტორი.....14

2.2 ჰამასი.....19

2.3 ისრაელ-ჰამასის ურთიერთობები.....28

თავი III:ისრაელი-პალესტინის კონფლიქტის პოლიტიკური და სამართლებრივი მხარეები.....34

3.1 კონფლიქტის მიზეზი.....34

3.2 კონფლიქტში საერთაშორისო მთვრობათაშორისო ორგანიზაციების როლი და განვითარების ეტაპები.....36

3.3 კონფლიქტის შედეგები: ებრაული ახალშენები და პალესტინელი ლტოლვილები...60

3.4 კონფლიქტის დარეგულირების სამართლებრივი მხარე.....65

დასკვნა 69

გამოყენებული ლიტერატურა.....73

შესავალი

ტერმინი ,,ახლო აღმოსალეთის კონფლიქტი''გულისხმობს,არაბეთ-ისრაელს შორის მიმდინარე დაპირისპირებას.

ახლო აღმოსავლეთის არაბული სახელმწიფოებისა და ისრაელის დაპირისპირება,მისი თანმდევი მსხვილმაშტაბიანი ომები,ცენტრალური პრობლემა გახდა XX საუკუნის საერთაშორისო ურთიერთობებში.

პრობლემის მთავარი მიზეზი გახდა პალესტინელი ხალხის მიერ საკუთარი დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნა,რომლის შესახებ გაეროს გენერალურმა ანსამბლეამ 1947წ. 23 ნოემბრს მიიღო 181/2-ე რეზოლუცია,რომლის თანახმად პალესტინა გაიყო ორ ნაწილად ებრაულ და არაბულ სახელმწიფოდ(ტერიტორიული შეფარდებით 1400კვ კილომეტრი)ანუ 56% ებრაელებს 43%არაბებს,იერუსალიმი გამოცხადდა საერთაშორისო კონტროლის ქვეშ[1].გაეროს გეგმა მიუღებელი აღმოჩნდა არაბებისთვის რადგან პალესტინის მცირე ნაწილი შეხვდათ.1948 წლის 14 მაისს ამოიწურა ისრაელზე ბრიტანეთის მანდატი,იმავერ დღეს ისრაელის ეროვნულმა გმირმა,პრემიერ-მინისტრმა დავით ბენ-გურიონმა გამოაცხადა დამოიკიდებლობა და ოფიციალურად ქვეყანას ეწოდა ისრაელის სახელმწიფო.

პალესტინა-ისრაელის კონფლიქტი მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი და ფართომაშტაბიანი დაპირისპირებაა რომლის მთავარი მიზეზი საზღვრების გაფართოებას და იერუსალიმის მართვას უკავშირდება,რომელმაც უამრავი ადამიანის სიცოცხლე შეიწირა.მე-XX საუკუნის მე-2 ნახევარში ამ სახემწიფოებს შორის ომი ბუნებრივ მოვლენად იქცა.სხვადასხვა სახელმწიფოები და საერთაშორისო ორგანიზაციები,მათ შორის გაერო და ნატო ცდილობდნენ და ცდილობენ კონფლიქტის მშვიდობიანად მოგვარებას,მათ შორის ამერიკის შეერთებული შტატები,რომელიც

[1] იხ.გაეროს 1947წ.181/2 რეზოლუცია,un.org.ge

მოწვეულ კონფერენციებზე ცდილობს აღნიშნული კონფლიქტის მოგვარების მშვიდობიანი გზებისა და საშუალებების ძიებას.

კვლევის მიზანი გახლავთ,აღნიშნული კონფლიქტის მიზეზების შესწავლა ,მისი მშვიდობიანად მოგვარების ხერხებისა და საშუალებების ძიება.ჩვენი ამოცანაა,გამოვკვეთოთ ის სამართლებრივი ასპექტები,რომლის მეშვეობითაც შესაძლებელი გახდება პალესტინა-ისრაელის კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარების ასპექტების ძიება.აღნიშნული არა მარტო მნიშვნელოვანია ამ ორი დაპირისპირებული მხარისთვის ,არამედ მთელი მსოფლიოსათვის,სწორედ აღნიშნულიდან გამომდინარეა პრობლემა აქტუალური.

ლიტერატურის მიმოხილვა

საკვლევი პრობლების აქტუალურობიდან გამომდინარე,იგი საკმაოდ დიდია,როგორც რუსულ,ინგლისურ და დასავლეთევროპულ ენებზე,ისე-არაბულზე.განსაკუთრებით უკანასკნელი წლების მასალები -ინტერნეტ სივრცეში, მნიშვნელოვნად ღირებულია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოსა და გენერალური ანსამბლეის რეზოლუციები,რომლების წლების განმავლობაში არეგულირებენ აღმოსავლეთის კონფლიქტს. აგრეთვეა ნაშრომები,პალესტინა-ისრაელის შეთახმებებზე, საერთაშორისო ხელშეკრულებები და მათი ანალიზი.პრობლების აქტუალურობიდან გამომდინარე ქართველი მკვლევარების მიღმაც არ დარჩენილა აღნიშნული პრობლემა,მათ შორის: ლევან ღირსიაშვილს,რევაზ გაჩეჩილაძეს,ზაზა მენთეშაშვილს,კონსტანტინე ჟღენტს.

თავი I:ისრაელი-პალესტინას ისტორიული და პოლიტიკური ურთიერთობები

1.1 პალესტინის ისტორიული და პოლიტიკური ურთიერთობები და დემოგრაფია

პალესტინა ერთ-ერთი ისტორიული სახელია მიწისა ხმელთაშუა ზღვასა და მდინარე იორდანეს შორის, მისი დასახლების არეალს წარმოადგენს ხმელთაშუა ზღვის აღმოსავლეთი და ლიბანის სამხრეთი ნაწილი.მდინარე იორდანე, ტბა ტიბერია და მკვდარი ზღვა პალესტინას აცალკევებს იორდანიისაგან.იგი გადაჭიმულია სამხრეთით აქაბის ყურემდე,რომელიც ქრისტიანებისათვის წმინდა ადგილს წარმოადგენს,რადგან ეს არის მდინარე რომელშიც ქრისტე მოინათლა და ასევე აქ წარმოდგენილია მრავალი სხვა უფლის სიწმინდეები.

პალესტინის ტერიტორია იყოფა ორ გეოგრაფიულ ზონაად:სანაპირო არედ და დიდი რიფების ველის ჩრდილოეთ გაშლად.[2]

რეგიონის სახელწოდება წარსულში სამი ათწლეულის განმავლობაში განსხვავებული ფორმებით არსებობდა. პალესტინის ტერიტორიაზე მოსახლე სემიტური მოდგმის ტომები რეგიონს უწოდებდნენ ქანაანს,სახელი პალესტინა ბერძნული წარმოშობისაა. პირველად ეს სახელი მოიხსენია ანტიკური ხანის ბერძენმა ისტორიკოსმა ჰეროდოტემ. როდესაც ეს მიწები რომის იმპერიის ნაწილი გახდა,პროვინციას მისი ბერძნული სახელით მოიხსენიებდნენ(პალესტინა)და ეს სახელი დამკვიდრდდა და გავრცელდა მთელს რომის იმპერიაში და მის გარეთ.რომის იმპერიის ორად გაყოფის შემდეგ პალესტინა აღმოსავლეთით რომის იმპერიის შემადგენლობაში შევიდა,ამის შემდგომ იგი არაბების ბატონობის ქვეშ მოექცა,ამ პერიოდში ხდება არაბული მოსახლეობის მომძლავრება აღნიშნულ რეგიონში.

[2] იხ. www.palestinecanter.org დღევანდელი ისტორიული ინფორმაცია

ისრაელის სახელმწიფოს შექმნამდე პალესტინის სანაპირო არაბულ სოფლებში იყო მიმოფანტული,ასევე ჩრდილოეთით, გალილეის ტერიტორია მჭიდროდ იყო დასახლებული ბედუინებით(მომთაბარეებით). ძირითადა ნევის უდაბნოს ტერიტორიაზე იყვნენ კონცენტრირებულნი.იორდანიის ტერიტორია გაცილებით უფრო ნაკლებად იყო დასახლებული,ვიდრე ხმელთაშუაზღვის სანაპირო ზოლი.

შუა საუკუნეებში პალესტინა სისხლისმღვრელი ომების პოლიგონად იქცა,არაბების შემდეგ პალესტინას ახალი მფლობელები გამოუჩნდნენ თურქ-სელჩუკების სახით.ევროპელი ჯვაროსნები და მაჰმადიანი ჯვაროსნები ხანგრძლივ ბრძოლებს აწარმოებდნენ მის ხელში ჩასაგდებად.ამის შემდგომ პალესტინა ოსმალური იმპერიის ნაწილი ხდება ხანგრძლივი დროით.

იერუსალიმის რელიგიური სტატუსი იზიდავდა უცხოელ დამპყრობლებს, მათ შორის ქრისტიან ჯვაროსნებს,რომელთაც ქალაქი 1099 წელს აიღეს, ფრანკებმა იერუსალიმის ლათინური სამეფო დაარსეს.(დასავლეთევროპული ყაიდის უმსხვილესი -ფეოდალური სახელმწიფო,რომელის დაარსდა ჯვაროსანთა პირველი ლასქრობის დროს,ჯვაროსნების მიერ1099 წელსიერუსალიმის აღების შემდეგ)რომელიც 1187 წლამდე არსებობდა. გაარაბებულ ქრისტიან ადგილობრივებსა და ევროპელ ჯვაროსნებს შორის შეუთანხმებლობამ, გაამაგრა პალესტინელ ქრისტიანთა და მუსლიმთა ურთიერთობები, რომებსაც აქამდე ისედაც მშვიდობიანი თანაცხოვრება ჰქონდათ. იერუსალიმი გაანთავისუფლა 1187 წელს ეგვიპტისა და სირიის აიუბილმა სულთანმა სალადინმა(დაიბადა ერაყის ქალაქ ტიკრიტში).და ევროპელები განდევნეს სირიისა და პალესტინის დიდი ნაწილიდან. 1191 წელს სალადინი დაუპირისპირდა ინგლისის მეფეს რიჩარდ ლომგულს სადაც სალადინი დამარცხდა,მაგრამ რიჩარდმა ისერუსალიმის აღება ვერ შეძლო,ორი მონარქის ურთიერთობა ,რომელიც საბრძოლო დაპირისპირების გარდა რაინდულ ურთიერთობაზე იყო აგებული,აირეკლა იმდროინდელლ რომანებში.[3]

ჯვაროსნებმა ქალაქი 1229 წლიდან 1244 წლამდე დაიბრუნეს, შემდეგ ეგვიპტელ მამლუქთა დინასტიამ ქალაქი ისევ გაათავისუფლა,მაგრამ 1516 წელს იერუსალიმი

[3] გაჩეჩილაძე რ. ,,ახლო აღმოსავლეთი,სივრცე,ხალხი და პოლიტიკა“თბ.2003.გვ.152

პალესტინა-ოსმალთა ხელში ჩავარდა.მათი მმართველობის დროს პალესტინა გაიყო ოლქებად და სირიის პროვინციას შეუერთდა.

1922-1948 წლებში პალესტინა ბრიტანეთის მანდატის შემადგენლობაში იმყოფებოდა,1940-იანი წლების ბოლოს ოკუპირებულია იორდანიასა და ეგვიპტის მიერ,1967 წელს კი ექვსდღიანი ომის შემდგომ ოკუპირებული იყო ისარაელის მიერ,ასევე ისრაელმა მოახდინა ღაზის სექტირის ოკუპაცია.1994 წლიდან დე ფაქტო იმართება პალესტინის ეროვნული ადმინისტრაციის მიერ[4].ხოლო მეორე მსოფლიო ,ომის შემდეგ 1947 წლის 25 ნოემბერს გაერომ მიიღო რეზოლუცია რომლის მიხედვითაც უნდა შექმნილიყო ებრაული და არაბული სახელმწიფოები პალესტინის ტერიტორიაზე[5].

ამჟამად პალესტინის ტერიტორიაზე არსებობს ორი დამოუკიდებელი სახელმწიფო ისრაელის(ებრაული) და პალესტინის(არაბული) სახელმწიფოები.აგრეთვე პალესტინა შედგება ორი ერთმანეთისაგან დაშორებული ტერიტორიებისაგან მდინარე იორდანეს დასავლეთი ნაპირი და ღაზის სექტორი.

დემოგრაფიული მდგომარეობა

დაახლოებით 5,8 მილიონიდან 6 მილიონამდე პალესტინელი ცხოვრობს ისრაელში,დასავლეთ სანაპიროს ტერიტორიაზე,ღაზის სექტორში და გაფანტულნი არიან მთელი მსოფლიოს მაშტაბით. 1948 წელს ომის დროს დაახლოებით 593 000 ადამიანი ცხოვრობდა დასავლეთ სანაპიროსა და იერუსალიმში, 3 მილიონზე მეტი პალესტინელია იორდანეში,ლიბანში და სირიაში დევნილად დარეგისტრირებულნი[6] .1989 წლისთვის 900 000 ადამოანი ცხოვრობდა დასავლეთ სანაპიროს ტერიტორიაზე,550 000-775 000 კი ღაზის სექტორში და 800 000 ადამიანი ისრაელში.1999წლს ღაზის სექტორში 775 000ადამიანი და 20 000 იერუსალიმში,1,7 მილიონი ადამიანი ცხოვრობს იორდანიაში.

---

[4] www.state.gov იხ.აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის ოფიციალური ვებ-გვერდი
[5] გაეროს 1947 წლის 181/2 რეზოლუცია,un.org.ge
[6] იხ.შესაბამისი ინფორმაცია, https://www.unrwa.org/where-we-work.

გაეროს მონაცემებით(დეკემბერი 2000) პალესტინელთა რაოდენობა 7 მილიონ ადამიანამდე მერყეობს.

2015 წლის ბოლო მონაცემებით პალესტინის მოსახლეობამ 12.4 მილიონი შეადგინა,ხოლო პალესტინაში პალესტინელების რაოდენობა 4.8 მილიონი.

რაც შეეხება ლტოლვილების რაოდენობას 2000 წლის 31 მარტისთვის შეადგენს 4 357 050 ადამიანს, მათ შორის იორდანიაში 1 835 704,სირიაში 4340896,ლიბანში 409 425,იორდანიის დასავლეთ სანაპიროზე 705 207,ღაზას სექტორში 993 818,მიუხედავად ოფიციალური სტატისტიკისა ,ისრაელში საერთოდ არ აღიარებენ არაბი პალესტინელების ეთნოსის არსებობას[7].

ხაიფას უნივერსიტეტის გეოგრაფიის პროფესორი არნორ სოფერი რომელიც დიდი ხანია აწვდის მთავრობას დემოგრაფიულ პროგნოზს , პროგნოზირებს რომ 2020 წლისათვის მდინარე იორდანესა და ხმელთაშუა ზღვას შორის იცხოვრებს 15.5 მილიონი ადამინაი,მათ შორის 60% არაბი,ხოლო 40% ებრაელი.საკუთრივ ისრაელში იმავე დროისათვის იგი ვარაუდობს ებრაელთა წილის შემცირებას 77-დან 65 პროცენტამდე.სხვა მეცნიერების გათვლების დაახლოებით ასეთსავე პერსპექტივას წინასწარმეტყველებს.მათი აზრით,თუკი ებრაელთა იმიგრაცია მკვრეთრად არ გაიზრდება ,კიდევ რამდენიმე ათწლეულში არაბების რაოდენობა გადააჭარბებს ებრაელების საკუთრივ ისრაელის ტერიტორიაზეც[8].

1.2 ისრაელის ისტორიული და პოლიტიკური ურთიერთობები და დემოგრაფია

ისრაელის სამეფო– ძველი ებრაული სახელმწიფო. დაარსდა ძვ.წლ XI საუკუნეში მეფე საულის მიერ.

სახელწოდება ისრაელი მოდის ბიბლიური ამბიდან,რომელიც მოგვითხრობს იაკობისა და უფლის შეჭიდების ამბავს (ღმერთმა ანგელოზის სახე მიიღო),რომლის დროსაც იაკობი დაკოჭლდა. ჭიდაობის შემდეგ ღმერთმა იაკობს ახალი სახელი უწოდა,

[7] გაეროს მონაცემები,un.org.ge
[8] გაჩეჩილაძე რ.ახლო აღმოსავლეთი:სივრცე ხალხი და პოლიტიკა თბ. 2008.გვ471

ისრაელი, რაც ღმერთთან შეჭიდულს ნიშნავს.იაკობის შემდეგ მთელ, ებრაელ ხალხს ეწოდება ისრაელის შვილები.ისრაელის ხალხი,ისრაელიანელები.სიტყვა ისტორიულ დოკუმენტში პირველად ეგვიპტეში ჩნდება.[9]

1948 წელს არჩამოყალიბებულ ებრაულ სახელმწიფოს ოფიციალურად ისრაელი სამეფო ეწოდა,თუმც არსებობდა კიდევ სახელმწიფოს რამოდენიმე ვერსია:,,ისრაელის მიწა", ,,სიონი", ,,იუდეა".ისრაელის სახელმწიფოს მოქალაქეს კი ეწოდა ,,ისრაელი"[10].

ისრაელი ძველარაბულად ,,ღმერთთან შეჭიდულს ნიშნავს.

ისრაელი მდებარეობს სამხრეთ-დასავლეთ აზიაში, ხმელთაშუა ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე(სანაპირო ზოლი 2230 კმ.),ჩრდილოეთით ესაზღვრება ლიბანი,ჩრდილო-აღმოსავლეთით სირია,აღმოსავლეთით-იორდანია,სამხრეთ- დასავლეთით-ეგვიპტე.ისრაელს სამხრეთით ესახღვრება წითელი ზღვა.

ისრაელი ჩრდილოეთიდან სამხრეთისკენ გადაჭიმულია 470 კილომეტრზე, აღმოსავლეთიდან დასავლეთისკენ -1155 კილომეტრზე,საზღვრების საერთო სიგრძეა -1017 კილომეტრი(მათ შორის:პალესტინასთან 307 კილომეტრი,ეგვიპტესთან-266კმ.,იორდანიასთან-238კმ., ლიბანთან-75კმ. და ღაზის სექტორთან -50 კმ). ისრაელის ფართობია 22,77 კვ,კმ.

ისრაელი მსოფლიში ერთ -ერთი ებრაული სახელმწიფოა. პირველი მსოფლიო ომის შემდეგ ერთა ლიგამ დაამტკიცა პალესტინაზე ბრიტანეთის მანდატი,რომლის მიზანი,,ებრაელი ხალხის ეროვნული სახლის'' შექმნა იყო.1947 წელს გაერომ დაამტკიცა პალესტინის ორ სახელმწიფოდ გაყოფა, ებრაულ და არაბულ ნაწილებად.1948 წლის 14 მაისს ისრაელმა დამოუკიდებლობა მოიპოვა ,რასაც მეზობელ არაბულ სახელმწიფოსთან ომის დაწყება მოყვა.

ისრაელს სამშვიდობო ხელშეკრულება აქვს მოწერილი ეგვიპტესთან და იორდანიასთან,თუმცა ხანგრძლივი მშვიდობის მიღწევა პალესტინასთან დღემდე შეუძლებელი გახდა.

---

[9] იხ.ინფორმაცია.www.nplg.gov.ge/wikidict/index.php ისრაელის_სამეფო_(ერთიანი)
[10] On the move,,tino''(ნიუ-იორკი)31 მაისი 1948 წელი

1917 წელს ,პირველი მსოფლიო ომის მსვლელობისას,ბრიტანელებმა ისრაელის მიწიდან/პალესტინიდან თავიანთი მტერი თურქ-სელჩუკები განდევნეს, ამით დასრულდა ოსმალეთის იმპერიის ოთსაუკუნოვანი ბატონობა ამ ქვეყანაში.

1920 ნწლამდე ქვეყანას ბრიტანელი სახელმწიფო ხელისუფლება მართავდა.1920 წელს ისრაელის მიწა/პალესტინა (დღევანდელი იორდანიის ტერიტორიის ჩათვლით) თანხმობის სახელმწიფითა კავშირის საბჭომ ოფიციალურად გადასცა ბრიტანეთის იმპერის დროებითი მმართველობის მანდატით.1948 წლამდე ქვეყანას ბრიტანული სამოქალაქო მანდატი მართავდა,ხოლო 1947 წელს გაეროს რეზოლუციის მიღების შემდგომ არაბებმა გადაწყვიტეს არ დამორჩილებოდნენ რეზოლუციას და არ დაეშვათ ებრაული სახელმწიფოს შექმნა.

დემოგრაფიული მდგომარეობა

ისრალის მოოსახლეობის რაოდენობა 2012 წლის მონაცემებით 7 836 000 ადამიანს შეადგენს,რაც მთელი მსოფლიოს მოსახლეობის 0,11% შეადგენს. მოსახლეობის უმრავლესობა 76,4 % ებრაელია,(მათგან 67,1 % ისრაელში დაბადებული, 22,6 % ევროპაში ან ამერიკაში დაბადებული, 5,9 % აფრიკაში დაბადებული, 4,2 % აზიაშია დაბადებული) დანარჩენი 23,6 % დან უმრავლესობა არაბია (2004წლის მინაცემები).2008 წლის მონაცემებით რომელსაც ისრაელის სტატისტიკის ცენტრი აქვეყნებს ებრაელების რაოდენობა 5,499 მილიონს აღწევს ანუ მოსახლეობის 75,5 %, არაბები 1,461 მილიონია - 20,7 % (მათ შორის ბედუინები, პალესტინელები, არაბი ქრისტიანები), 322 ათასი დრუზდები - 4,4 %, რომლებიც არაბების რიცხვში შედიან.დანარჩენები ეთნიკურ უმცირესობათა წარმომადგენლები ჩერქესები,რუსები,ქართველები და სომხები არიან.[11]

[11] ისრაელის სტატისტიკის ცენტრი.Monthly Bulletion of Statistics for Population

თავიII: ისრაელი-პალესტინის კონფლიქტში ჩართული ძირითადი სუბიექტები და ტერიტორიები

2.1 ღაზის სექტორი

ღაზის სექტორი რეგიონი პალესტინაში, ხმელთაშუა ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე. სამხრეთ -დასავლეთით 11 კილომეტრის მანძილძე ესაზღვრება ეგვიპტე, აღმოსავლეთით და ჩრდილოეთით 51 კილომეტრ მანძილზე კი ისრაელი.დასავლეთ სანაპიროსთან ერთად, ღაზა პალესტინის ტერიტორიის შემადგენელი ნაწილია,რომელიც 2012 წელს გაეროს გენერალურმა ანსამბლეამ ,,გაეროს არაწევრი დამკვირვებელი სახელმწიფოს''სტატუსი მიანიჭა.[12]

1994 წელს,ისრაელმა პალესტინის ეროვნულ ადმინისტრაციას ღაზაზე თვითმართველობის უფლება გადასცა.მანამდე,ღაზა ჯერ ისრაელს (1967-94),უფრო ადრე კი ეგვიპტეს(1948-67)კიდევ უფრო ადრე კი დიდი ბრიტანეთის (1918-48) და თურქეთის (როდესაც ღაზა ოსმალეთის იმპერიის ნაწილი იყო)სამხედრო ოკუპაციის ქვეშ იმყოფებოდა.2007 წლიდან ღაზის სექტორის დე-ფაქტო მმართველობას ახორციელებს ჰამასი-პალესტინელთა დაჯგუფება,რომელიც პრეტენზიას აცხადებს,რომ სწორედ ის წარმოადგენს პალესტინის ეროვნულ ადმინისტრაციას და პალესტინელ ხალხს.ღაზა პალესტინიის ტერიტორიის ის ნაწილია,რომელიც განისაზღვრება ოსლოს ხელშეკრულებით(Oslo Acords, ოფიციალური სახელწოდება Declaration of Principles on,Interim Self-Government Arrangements ან DOP)ორმხრივი დახურული კონსულტაციები ოსლოში ისრაელისა და პალესტინის გათავისულების ორგანიზაციას შორის.)და გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციით 1860-ით.[13] რომლის მიხედვითაც ღაზა წარმოადგენს ოკუპირებულ პალესტინის ტერიტორიის განუყოფელ

[12] General assembly votes overwhelmingly to accord palestine,,non-member observer state''status in united nations
[13] En Heades of missions report on gaza 2013

ნაწილს,როგორც ეს გათვალისწინებულია ოსლოს შეთანხმებებსა და გაეროს უშიშროების საბჭოს 1860 -ე რეზოლუციაში.

ღაზას სექტორის ამჟამინდელი ჩრდილოეთი და აღმოსავლეთ საზღვარი 1848 წლის ომის საბრძოლო მოქმედების შდეგად შეთანხმდა რაც 1949 წლის 24 თებერვალს დადასტურდა ისრაელს ეგვიპტის დროებითი ზავით,[14]რომ სადემარკაციო საზღვარი არ იქნებოდა საერთაშორისო საზღვარი.

თავდაპირველად, ღაზის სექტორის მართვა აიღო სრულიად პალესტინის ხელისუფლებამ, რომელიც 1848 წელს არაბულმა ლიგამ დაარსა .ღაზის სექტორი, სრულიად პალესტინის ხელისუფლება, ეგვიპტის სამხედრო მმართველობის მიერ იმართება და წარმოადგენს მარიონეტულ სახელმწიფოს ,სანამ ის 1959 წელს ოფიციალურად არ შეუერთდა გაერთიანებულ არაბულ რესპუბლიკას.სრულიად პალესტინის ხელისუფლების დაშლიდან 1967 წლამდე,ღაზის სექტორი პირდაპირ იმართებოდა ეგვიპტის სამხედრო მმართველობის მიერ.1967 წელს ექვსდღიან ომში(სამხედრო კონფლიქტი ისრაელსა და არაბული ქვეყნების გაერთიანებებს შორის .ომი დაიწყო ისრაელსა და ეგვიპტეზე თავდასხმით,მოგვიანებით ომში იორდანია,სირია და ერაყიც ჩაერთვნენ. გრძელდებოდა1967წლის 5 ივნისიდან 10 ივნისამდე.

5 ივნისის დილას ისრაელის გამანდგურებელი თვითმფრინავები ჰაერში აფრინდნენ და პირველი დარტყნმა მიაყენეს სინას ნახევარკუნძულს, სადაც გაანადგურეს სამხედრო აეროდრომები.დარტყმა იმდენად მოულოდნელი და ძლიერი იყო,რომ ეგვიპტის საჰაერო ძალები მთლიანად გამოვიდნენ მწყობრიდან,რის შემდეგაც ომში ჩაერთო იორდანიაც, მიუხედავად ხუსიენ მეფის გაფრთხილებისა ისრაელის მიერ,რომ შეეწყვიტა ომი,მან განაგრძო თავდასხმები.ამის შემდეგ ისრაელის საჰაერო ძალებმა განახორციელეს იორდანიის წინააღმდეგ ოპერაცია და გაანთავისუფლეს აღმოსავლეთ იერუსალიმი და მიმდებარე ტერიტორიები.ასევე სირიამ პირველივე დღეებში დაიწყო მასიური არტილერიული სროლა ჩრდილოეთ ისრაელის დასახლებებზე,რამაც განაპირობა ისრაელის საჰაერო დარტყმა,რომელმაც გაანადგურა სირიის მეტი წილი

[14] Egypt Israel Armistice Agreement Un Doc 9/1264/cort 123 Februal 1949 შეთანხმების V თავშია ნათქვამი.

საჰაერო ძალები,მთლიანობაში არაბულმა ქვეყნებმა პირველ დღეს ომში დაკარგეს 400-ზე მეტი სამხედრო თვითმფრინავი.

ომის შემდეგ დღეებში ისრელის ჯარმა განაგრძო ქვეითი ძალებით შეტევა და მესამე დღის ბოლის უკვე დაიპყრო სინას ნახევარკუნძული(მაშინ როცა ეს ტერიტორია 3-ჯერ დიდია ისრაელზე),ამის შემდგომ საერთაშორისო ორგანიზაციებმა მოითხოვეს ცეცხლის შეწყვეტა.ისრაელი პირველი იყო ვინც დაეთანხმა ამ პირობებს ,მაგრამ სირიამ განაგრძო ებრაელი დასახლებების დაბომბვა და ასევე სცადა დაეპყრო ერთ-ერთი ებრაული სოფელი,კიბუც დანი.ამის შემდეგ ისრაელმა თავი მოუყარა ძალებს და გადავიდა კონტრშეტევაზე გოლანის მაღლობებისკენ, სადაც სირიის ძალები იყვნენ განლაგებული და ისრაელმა მოახრეხა და დაიპყრო გოლანის მაღლობები.

10 ივნისს ომი ისრაელის გამარჯვებით დასრულდა.ამ დღისთვის უკვე განადგურებული იყო მტრის 400-ზე მეტი სამხედრო თვითმფრინავი აქედან 60 ჰაერში.აგრეთვე განადგურდა 500-ზე მეტი ტანკი,რაც მოწინააღმდეგე მხრის მთელი მძიმე სამხედრო ტექნიკის 70%-ზე მეტს წარმოადგენდა.[15]

დანაკარგები		
ეგვიპტე,სირია,იორდანია ერაყი		**ისრაელი**
დაღუპული	**21 000**	**800**
დაჭრილი	**45 000**	**2 563**
დატყვევებული	**6 000**	**15**
განადგურებული თვითმფრინავი	**400**	**46**

არაბული - ისრაელის თვითმფრინავების დაკარგვა[16]

ამ ცხრილში მოცემულია ისრაელის და არაბთა თვითმფრინავის დანაკარგები 50 წლის განმავლობაში.

იგი ასევე ცდილობს, ბოლო 50 წლის განმავლობაში ორივე მხარისთვის საერთო თვითმფრინავის დანაკარგების შეფასებას. რიგები დაყოფილია სხვადასხვა არაბულ -

[15] Arab –Israeli Aircraft Losses

[16] Arab - Israeli Aircraft Losses

ისრაელის კონფლიქტების მიხედვით: 1948 - 1949 ისრაელის დამოუკიდებლობის ომი. 1956 სუეცისკრიზისი(ოპერაცია"კადეშ)

1967.ექვსდღიანიომი

1967-1970ორაზროვნებისომი

1973 YomKippurომი

1982 ლიბანის შემოჭრა (ოპერაცია "მშვიდობა გალილეისთვის", რომელიც შედის 1982-1998 წლებში).

	არაბული დანაკარგები					ისრაელის დანაკარგები		
წლების განმავლობაში	საჰაერო	მიწაზე	AAA/SAM	სხვა	საერთო ჯამში	საჰაერო	მიწაზე	საერთო ჯამში
1948-1949	19	30	4	3	56	2	23	25
1949-1956	3	-	-	-	3	-	-	0
1956	7	-	-	2	9	2	13	15
1956-1967	12	-	-	1	13	2	-	2
1967	58	375	3	10	446	12	34	46
1967-1970	113	-	25	12	150	4	26	30
1970-1973	34	-	4	1	39	2	6	8
1973	277	22	43	100	442	6	108	114
1973-1982	26	-	-	3	29	-	2	2
1982-1998	88	-	8	4	100	-	10	10

ეგვიპტის Air-to-Air Losses 1956 წლის ოპერაცია "Kadesh"

საჰაერო ტიპის	თარიღი	შეტაკებები	განადგურდა სტატუსი	გადაღებულია
მიგ -15	30/10/56	4 MiG-15s Vs 3 Mysteres	დაადასტურა	Lt. Yosef Tzuk
დჰ Vampire	31/10/56	4 Vampires Vs 2 Mysteres	დაადასტურა	Lt. Shai Egozi
dH Vampire	31/10/56	4 Vampires Vs 2 Mysteres	დაადასტურა	Lt. Shai Egozi
dH Vampire	31/10/56	4 Vampires Vs 2 Mysteres	დაადასტურა	Lt. Aaron Shavit
dH Vampire	31/10/56	4 Vampires Vs 2 Mysteres	დაადასტურა	Lt. Aaron Shavit

საჰაერო ტიპის	თარიღი	შეტაკებები	განადგურდა სტატუსი	გადაღებულია
MiG-15	31/10/56	3 MiG-15s Vs 2 Mysteres	დაადასტურა	Cptn. Ya'akov Nevo
MiG-15/17 (?)	31/10/56	MiG-15 Vs 2 Ouragans	დაადასტურა	Cptn. Ya'akov Agasi
MiG-15	31/10/56	2 MiG-15s Vs 2 Mysteres	დაადასტურა	Cptn. Ya'akov Nevo

ისრაელის ზიანის ანგარიში 1956 წლის ოპერაცია "კადეში"

საჰაერო ტიპის	დაზიანება სიმძიმის				Crash დაეშვა გარეთ ბრძოლაში	მომსახურება
	ოდნავ	საშუალო	გაანადგურეს	სულ		
Dassault Mystere	3	-	1	4	-	3
Dassault Ouragan	-	1	-	1	1	1
Gloster Meteor	-	1	-	1	-	1
N. A. M*ustang*	-	6	7	13	5	4
dH Musquito	1	-	2	3	-	1
N.A. Harvard	-	1	2	3	1	1
Piper Super Cub	1	3	3	7	-	7
სულ	5	12	15	32	7	18

* თვითმფრინავის დაზიანების სიმძიმის მიხედვით.

ღაზის სექტორი ეგვიპტეს ისრაელმა წაართვა.1993 წელს ხელმოწერილი ოსლოს ხელშეკრულების თანახმად[17],პალესტინელებით დასახლებული ცენტრის მმართველი ორგანო პალესტინის ეროვნული ადმინისტრაცია გახდა,თუმცა ისრაელი მაინც ინარჩუნებს კონტროლს საჰაერო სივრცეზე,ტერიტორიულ წყლებსა და საზღვრის გადაკვეთაზე,გარდა სექტორისა ეგვიპტესთან საზღვრის მონაკვეთისა.2005 წელს ,საკუთარი ცალმხრივი გათავისუფლების გეგმის თანახმად,ისრაელმა ღაზის სექტორი სრულად დატოვა.2006წლის პალესტინის საკანონმდებლო არჩევნებისა და

[17] იხ.ინფორმაცია EU Heads of Misions reporton Gaza 2013

2007წელს ჰამასის მიერ ძალების ხელში აღების შემდეგ,ამავე წლის ივლისში,ჰამასი მოქმედებს როგორც ღაზის სექტორის დე-ფაქტო მმართველი,რომელმაც ასევე ჩამოაყალიბა ღაზის საკუთარი ,,ალტერნატიული მმართველობა''.

2014 წელს შერიგების მოლაპარაკებების შემდეგ,ჰამასმა და ფათჰმა პალესტინის სახელმწიფოს ფარგლებში ჩამოაყალიბეს პალესტინის ერთიანი ხელისუფლება.კუალიციის პრემიერ-მინისტრი გახდა რამი ჰამდალა და ასევე დაგეგმა არჩევნები ღაზას და დასავლეთ სანაპიროზე[18].

როგორც ზემოთ ავღნიშნეთ,ღაზა პალესტინის ტერიტორიების შემანდენელი ნაწილია.რომელსაც 2012 წელს გაეროს გენარალურმა ანსამბლამ,,გაეროს არაწევრი დამკვირვებელი სახელმწიფოს'' სტატუსი მიანიჭა.2007 წლიდან ღაზის სექტორის დე-ფაქტო მმართველობას ახორციელებს ჰამასი.რომელიც პრეზენზიას აცხადებს,რომ სწორედ ის წარმოადგენს პალესტინის ეროვნულ ადმინისტრაციას და პალესტინელ ხალხს[19].

2.2 ჰამასი

ჰამასი პალესტინის სუნიტურ-ისლამისტური ფუნდამენტალური მოძრაობაა,რომელიც მჭიდრო კავშირშია მუსლიმანურ საძმოსთან.მისი მიზანია პალესტინის გათავისუფლება ისრაელის ოკუპაციისაგან და დასავლეთ სანაპიროზე ისლამური რესპუბლიკის შექმნა.ჰამასი ტერორისტულ ორგანიზაციადაა მიჩნეული,ევროკავშირისა,კანადის აშშ-სა და ისრაელის მიერ და მისი თავდასხმები ისრაელის მოქალაქეებზე და სხვა ადამიანის უფლებათა დარღვევის ფაქტები დაგმობილ იქნა ადამიანთა უფლებათა კომისიის საერთაშორისო ამინისტიისა და ჰუმან რაითს ვოჩის მიერ.

ეს ორგანიზაცია განსაკუთრებით პოპულარულია პალესტინელთა შორის ღაზას სექტორში,თუმცა მას საკმაოდ ბევრი მიმდევარი ჰყავს დასავლეთ სანაპიროზე და სხვა ქვეყნების პალესტინის დიასპორაში,ისრაელის ჩათვლით.ამ მოძრაობის პოპულარობა

[18] იხ.www.Palestina unity government of Fatach and Humans sworn.in/world news/theguardion.com
[19] იხ ინფორმაცია intermedia.ge.სტატია /110864

განპირობებულია მის მიერ პალესტიის ღატაკთათვის შემწეობისა და სოციალური უზრუნველყოფის გაწევით და ნაწილობრივ,შეიარაღებული მოქმედებებით.არაბული სამყაროს გარეთ ჰამასი ცნობილია თვითმკვლელი აფეთქებებით ისრაელის მჭიდროდ დასახლებულ ურბანულ რეგიონებში,ორგანიზაცია როგორც წესი ამ თვითმკვლელის ოჯახებს გარკვეულ კომპენსაციას უხდიან.ორგანიზაციის მიზანია გააერთიანოს პალესტინა ისლამური სახელმწიფოს ქვეშ,რომელიც სრულიად მოუღებს ბოლოს ისრაელს.

ჰამასი 1987 წლიდნ ებრძვის ისრაელს,როგორც უკვე ავღნიშნეთ ეს არის ისლამისტურ პოლიტიკური და ბოევიკთა ჯგუფი,რომელმაც ისრაელთან ომი დაიწყო 1987წლიდან,განსაკუთრებით კი თვითმკვლელი აფეთქებებითა და სარაკეტო თავდასხმების მეშვეობით. [20]

ჰამასი არის პალესტინის ეროვნული ნაციონალური მოძრაობა,რომლებიც მუშობენ პალესტინელ ხალხთან და ყველა ეროვნულ და ისლამურ ფრაქციებთან და მთელს მსოფლიოსთან,რომლებიც ებრძვიან ისრაელის საოკუპაციო წინააღმდეგობებს,ანუ ეწევა ისრაელის წინააღმდეგ ბრძოლას,იერუსალიმისა და წმინდა ადგილების გათავისუფლებისათვის და იბრძვის პალესტინელი ლტოლვილების სახლში დაბრუნებას და სუვერენული სახელმწიფოს შექმნას.

ჰამასი ჩართულია პალესტინელ ხალხთან ურთერთობებში სადაც ისინი არსებენ ყველ ასპექტში,ისე,რომ ისინი კვლავ რჩებიან ძალისხმევით ოკუპაციის დასაძლევად.იგი შეეცადა პალესტინის ტანჯვის შემსუბუქებას,ყველა ძალით ცდილიბს შეაჩეროს ისტორიული ასპექტების ხანგრძლივი ოკუპაცია.იგი არის ყოვლისმომცველი ინსტიტუციონალური მოძრაბა ისრელის საოკუპაციო რეჟიმის წინააღმდეგ.ჰამასი ჩართულია პალესტინის თემში პოლიტიკურად,ეკონომიკურად,საგანმანათლებლო,სოციალურ,კულტურულ და მედიის დონეზე ურთიერთობებში.

[20] იხ.შესაბამისი ინფორმაცია.www.vox.com.

მოძრაობა აქტიურია პალესტინის,არაბულ,ისლამურ და საერთაშორისო დონეზე და მუშაობს ახლგაზრდებში,სტუდენტებში,ქალებში,საზოგადოების სხვადასხვა სეგმენტში.ჰამასი არის არაბული და ისლამური ერის განუყოფელი ნაწილი იდენტობისა და კუთვნილებისა,ეს არის პალესტინის წინააღმდეგობის ორგანო ,რომელიც განიხილება ისრაელის საოკუპაციო დაპირისპირების წინაშე,რომელიც საფრთხეს უქმნის პალესტინის ერსა და რელიგიას.მას სწამს თავისი ხალხის ერთობა,იგი მხარს უჭერს პალესტინელი ხალხის უფლებების დაცვას და ეროვნულ მუდმივობას,ჰამასი არ ებრძვის ებრაელებს,ის ებრძვის ოკუპანტებს,მათ არავითარი პრობლება არ აქვთ ისრაელის ხალხთა რელიგიასთან,რასათან,საზოგადოებასთან,მათ იდეებთან,თუმცა ისინი წინააღმდეგნი არიან ოკუპანტებისა და აგრესორებისა.მისი ყველა სახის წინააღმდეგობა მიმართულია ისრაელის ზეწოლისა და წიგააღმდეგობის დასაძლევად.იგი გადაწყვეტილებებს იღებს პალესტინელი ხალხის ინტერესების გათვალისწინებით,მის პოლიტიკურ პოზიციებზე დაყრდნობით.

ამგვარად მოძრაობა მიესალმება,ღია გონებით კომუნიკაციას ყველა ერის ხლხთან,კულტურასთან და ცივილიზაციასთან,რომელიც ეფუძვნება პალესტინელი ხალხის უფლების აღიარებას,რათა გათავისუფლებულ იქნეს მათი მიწები,იგი თავისი ინსტიტუტების შიგნით ახორციელებს დემოკრატიას,აგრეთვე პალესტინელ ხალხთან და პარტნიორებთან,ის აგრეთვე მომხრეა თანამშრომლობისა და თანაარსებობას განსხვავებული შეხედულებებისა.

იდეოლოგია და ფორმირება

ჰამასი ეს არის ორგანიზაცია,რომელიც მიზნად ისახავს პალესტინის გათავისუფლებას ისრაელისაგან,ანუ მისი ლიდერების და ორგანიზაციის და წევრებისათვის მიუღებელია ავტონომია ისრაელის სახელმწიფოს ქვეშ,სწორედ ამით განსხვავდებიან პალესტინის განმანთავისუფლებელი ორგანიზაციისაგან(პგო),რომლის ძალადობის ფონზე ჰამასს უამრავი მიმდევარი გაუჩნდა.ჰამასსა და პგო-ს შორის მუდმივი დაპირისპირება

არსებობდა.ეს გამოწვეული იყო მათი განსხვავებული წარმოდგენებით ისრაელი-პალესტინის კონფლიქტის მომავლის შესახებ[21].

1988 წლის 18 აგვისტოს,შეიქმნა ჰამასის ქარტია,რომელიც წარმოაჩენს მის სახეს,ახსნის მის პოზიციას,განმარტავს დანიშნულებებს,განიხილავს მის იმედებს,მოუწოდებს მისი მიზნის მხარდაჭერის,დახმარების და მასში გაწევრიანებისაკენ[22].

1970-იანი წლებიდან,პან-ისლამი მუსლიმანურ ძმებთან დაკავშირებულმა ისლამურმა აქტივისტებმა შეიმუსავეს პოზიციები და გააქტიურდნენ ღაზასა და დასავლეთ სანაპიროზე.ღაზაში ისინი ბევრ მეჩეთში იყვნენ აქტიურნი,ხოლო დასავლეთის ბანკის საქმიანობა ძირითადად უნივერსიტეტით იყო შემოფარგლული.მუსლიმი ძმების საქმიანობა ამ ტერიტორიებზე ზოგადად არაძალადობრივი იყო,ხოლო ოკუპირებულ ტერიტორიებზე რამოდენიმე ჯგუფმა დაიწყო დაპირისპირება ისრაელის წინააღმდეგ.

როგორც ავღნიშნეთ ჰამასი დაარსადა მუსლიმანურ ძმათა რელიგიური ფრაქციებით და ორგანიზაციამ სწრაფად შეიძინა ფართო სახე. 1988წლის წესრიგის თანახმად,ჰამასმა აღნიშნა,რომ პალესტინა არის ისლამის სამშობლო,იგი არასოდეს არ ჩაბარდება მუსლიმანებს და ომი პალესტინელი ხალხის რელიგიური მოვალეობაა.1989წელს ისრაელმა დააპატიმრა სამოქალაქო და სამხედრო ობიექტებზე ჰამასის წევრები ,მათ შორის შეიხ ახმედ იასინი,მოძრაობის დამფუძნებელი.ორგანიზაციის საერთაშორისო ურთიერთობების საკითხებზე პასუხისმგებელი პილიტიკური ბიურო ჩამოყალიბდა იორდანიის ამმანში,1996 წელს მისი ხელმძღვანელი ხალელმეშალალი და ჯგუფის შეიარაღებული ფრთა შეიცვალა,როგორც ,,აიზი ალ-დიინ ალ-ყამასის''ძალები.

იორდანიიდან 1999 წელს გააძევეს ჰამასისი ლიდერები,ისინი დაადანაშაულეს სამხედრო საქმიანობისთვის დასავლეთ სანაპიროსა და ღაზაში.2001წელს შეიქმნა პოლიტიკური ბიურო დამასკოსა და სირიაში,2012 წელს გადავიდა დოჰაში,კატარში.

პოზიცია სამშვიდობო პროცესის შესახებ

[21] მაღრაძე მ.გელაშვილი ა. სისაური ვ. ტერორიზმი და ფაქტები რომლებიც მოქმედებენ პიროვნების ჩამოყალიბებაზე.თბ 2016.გვ 79.
[22] იქვე.გვ.80

ჰამასმა უარყო ნებისმიერი მოლაპარაკება,რომელიც ეხებოდა მიწის დათმობას ჯგუფმა დაგმო 1993 წლის სამშვიდობო მოლაპარაკება,შეთანხმება ისრაელსა და PLO-ს შორის და ისლამური ჯიჰადის ჯგუფთან ერთად,გააქტიურა ტერიტორიული კამპანია,,თვიითმკვლელი ბომბდამშენი''.PLO და ისრაელი გამოეხმაურნენ და მკაცრი უსაფრთხოების ზომები მიიღეს,თუმცა PLO-ს თავჯდომარე იასირ არაფატი ცდილობს მოიცვას ჰამასი პოლიტიკურ პროცესში,ჰამასის წევრებს პალესტინის ხელისუფლება ხელმძღვანელობდა.

2000 წლის სექტემბერში ისრაელსა და პალესტინას შორის სამშვიდობო მოლაპარაკების კოლაფსი გამოიწვია ძალადობის ზრდამ,რომელიც ცნობილია როგორც ინდიფატა და კვლევ გრძელდებოდა ჰამასის წევრების თვითმკვლელი აფეთქებები ისრაელში,ჰამასი პარალელურად ეთანხმებოდა პრობლემის მშვიდობიანად მოგვარებას,რომელიც ასევე განისაზღვრა 2017 წლის ზოგად პრინციპებსა და პოლიტიკურ დოკუმენტში.

2005 წლის დასაწყისში ჰამასის მმართველმა მაჰმუდ აბასსმა და ისრაელის პრემიერ-მინისტრმა არიელ შარონმა განაცხადეს,რომ ისრაელის მიერ პალესტინის ტერიტორიიდან ზოგიერთ ჯარს გაიყვანდა.მოლაპარაკებების შედეგად ჰამასი დაეთანხმა ცეცხლის შეწყვეტას,თუმცა ისრაელმა გაანადგურა პალესტინის დასახლებები და ჯარი გადაიყვანა ღაზის სექტორში.

2006 წელს პალესტინის საკანონმდებლო კრების არჩევნებში ჰამასისი ლიდერი გახდა ისმაილ ჰანიეჰი.ჰამასს ასევე დაძაბული ურთიერთობა ჰქონდა სირიისა და ირანის მთავრობასთან ,2011 წელს ჰამასმა საჯაროდ გამოაცხადა მხარდაჭერა სირიის ოპოზიციასთან.

რა არის ინდიფატა?

ინდიფატა იყო პალესტინის აჯანყება ისრაელის წინააღმდეგ,რომელიც ორ ეტაპად განვითარდა.პირველი 1987 წლის 9 დეკემბერს,მეორე კი 2000 წლის 29 სექტემბერს დაიწყო.ინდიფატას ქონდა ისრაელ-პალესტინის ურთიერთობებზე დრამატული გავლენა და განიხილება როგორც ბნელი ეპოქა.

პირველი ინდიფატა იყო,პალესტინის დემონსტრაციების სპონტანური სერია,არაბიოლოგიური ქმენებები,ბოიკოტები და ისრაელის წინააღმდეგ თავდასხმები,სწორედ ამან განაპირობა სიკვდილიანობის მაღალი მაჩვენებელი.

მეორე გაცილებით სისხლიანი აღმოჩნდა.ისრაელის პრემიერ მინისტრსა და პოლკოვნიკ იასინ არაფატს შორის მოლაპარაკებები დაირღვა და ამან ხელი შეუწყო ინდიფატას დაწყებას.მიუხედავად ,რომ ორივე მხარე მოლაპარაკების გარკვეულ პირობებს ასრულებდნენ დაპირისპირების მიზეზი უნდობლობა აღმოჩნდა, რამაც ხელი შეუწყო ომის გარდაუვალობას.პირველი ინდიფატისაგან განსხვავებით,პალესტინის ტაქტიკა ტერორისტული თვდასხმებით,სარაკეტო იერიშებითა და სნაიპერული აქტივობებით გამოირჩეოდა.სამშვიდობო პროცესის სკეპტიციზმი კიდევ უფრო გაიზარდა,რაც ართულებს მომავალ ძალისხმევას ორ სახელმწიფოსთან შეთანხმების მისაღწევად.[23]

სიკვდილიანობა,პირველ ინტიფადაში [24]

ოკუპიტებულ ტერიტორიებზე დაღუპული პალესტინელები (აღმოსავლეთ იერუსალიმის ჩათვლით)

წელი	**ისრაელის უშიშროების ძალების მიერ პალესტინელები**	**მათგან არასრულწლოვანთა ასალი 17 წლამდე**	**ისრაელის მოქალაქეების მიერ დაღუპული პალწესტინელები**	**მათგან არასრულწლოვანთა ასალი 17 წლამდე**
დეკ 9-1987 წ	22	5	0	0
1988 წ	289	48	15	2
1989 წ	285	78	17	5
1990 წ	125	23	9	2
1991 წ	91	24	6	3

[23]იხ.შესაბამისი ინფორმაცია www.britannica.com
[24] იხ.შესაბამისი ინფორმაცია www.btselem.org.first-indifada-tables

1992 წ	134	23	2	0
1993-13.9.93	124	36	5	1
14.9.93-31.12.93	30	4	8	0
1994 წ	106	16	38	8
1995 წ	42	4	2	1
1996 წ	69	10	3	1
1997 წ	18	5	4	0
1998 წ	21	3	6	0
1999 წ	8	0	0	0
2000 წლმდე 28.9	12	2	0	0
სულ	**1,376**	**281**	**115**	**23**

ისრაელის ოკუპირებულ ტერიტორიებზე დაიღუპა (მათ შორის აღმოსავლეთ იერუსალიმი)

წელი	**ისრაელის მოქალაქეები პალესტინელებმა მოკლეს**	**მათ შორის არასრულწლოვანთა ასალი 17 წლამდე**	**ისრაელის უშიშროების ძალების თანამშრომლები პალესტინელების მიერ დაიღუპნენ**
დეკ 9-31 1987	0	0	0
1988 წ	6	3	4
1989 წ	3	0	6
1990 წ	4	0	3

1991 წ	7	0	1
1992 წ	11	0	14
1993-13.9.93	16	0	15
14.9.93-31.12.93	11	0	3
1994 წ.	11	0	12
1995 წ	7	0	9
1996 წ	3	1	19
1997 წ	4	0	0
1998 წ	8	0	3
1999 წ	1	0	2
2000 წლამდე 28.9	2	0	0
სულ	**94**	**4**	**91**

პალესტინელები მწვანე ხაზის ფარგლებში

წელი	**ისრაელის უშიშროების ძალების მიერ პალესტინელები**	**ისრაელის მოქალაქეების მიერ დაღუპულები პალესტინელები**
დეკ 9-31 1987	0	0
1988 წ	1	5
1989 წ	1	2
1990 წ	1	10

1991 წ	5	2
1992 წ	2	0
1993-13.9.93	7	2
14.9.93-31.12.93	4	0
1994 წ.	7	1
1995 წ	0	1
1996 წ	0	2
1997 წ	0	1
1998 წ	0	1
1999 წ	1	0
2000 წლამდე 28.9	4	0
სულ	33	27

ისრაელი .მოკლეს მწვანე ხაზში

წელი	ისრაელის მოქალაქეები პალესტინელებმა მოკლეს	მათგან არასრულწლოვამთა ასაკი 17 წლამდე	ისრაელის უშიშროების ძალების თანამშრომლები პალესტინელების მიერ დაიღუპნენ
დეკ 9-31 1987	0	0	0
1988 წ	2	0	0
1989 წ	17	1	5
1990 წ	13	0	2

1991 წ	7	0	4
1992 წ	8	1	1
1993-13.9.93	6	0	5
14.9.93-31.12.93	3	0	2
1994 წ.	47	2	4
1995 წ	9	0	21
1996 წ	38	7	15
1997 წ	25	3	0
1998 წ	1	0	0
1999 წ	1	0	0
2000 წლამდე 28.9	0	0	0
სულ	177	14	59

2.3 ისრაელ – ჰამასის ურთიერთობები

ისრაელი-ჰამასის კონფლიქტში უკანასკნელ პერიოდში მსოფლიო საზოგადოების ყურადღება მიიპყრობილი იყო ახლო აღმოსავლეთისკენ,კონკრეტულად ღაზას სექტორისკენ, სადაც წლების განმავლობაში მიმდინარე ისრაელ-პალესტინის კონფლიქტი ახალ ფაზაში შევიდა. `ტყვიების წვიმა ~, რომელსაც ისრაელი აწარმოებდა ღაზას სექტორში ტერორისტული დაჯგუფება ჰამასის წინააღმდეგ. ისრაელის სახელმწიფოს დაარსებიდან (1948w. 14 მაისი) ექვსდღიან ომამდე (ექვსდღიანი ომი გაიმართა 1967 წელს ისრაელსა და არაბულ ქვეყნებს შორის)ღაზას სექტორი შედიოდა

ეგვიპტის მმართველობაშ,მაგრამ ეგვიპტეს მისი ანექსირება არ მოუხდენია. ექვსდღიან ომში ეგვიპტე დამარცხდა.ისრაელმა დაიკავა მთელი რიგი ტერიტორიები და მათ შორის მდ.იორდანეს დასავლეთი ნაპირი და ღაზას სექტორი,მაგრამ ისრაელს ოფიციალურად მისი ოკუპაცია არ მოუხდენია. 1994 წელს ოსლოს შეთანხმების საფუძველზე, სექტორი გადავიდა პალესტინის ეროვნული ადმინისტრაციის დაქვემდებარებაში (`ოსლოს შეთანხმებები~ _ 1993 წლის 13სექტემბერს ვაშინგტონში იქნა ხელმოწერილი,რომლის მიზანი იყო პალესტინის დროებითი ადმინისტრაციის ჩამოყლიბება), რომელსაც 1969 წლიდან აკონტროლებდა იასირ არაფატის მიერ ჩამოყალიბებული პალესტინის განმანთავისუფლებელი მოძრაობა ანუ,,ფათჰი''. (ჰარაათ-ათ-თაჰრირ-ალ-ვატანი ალ- ფილისტინი; `ფათჰი” _ არის ამ სიტყვების შებრუნებული აბრევიატურა). დღეისათვის პალესტინის ეროვნული ადმინისტრაციის მეთაურია ზომიერი პოლიტიკური ფრთის წარმომადგენელი მაჰმუს აბასი,რომელის ხელისუფლების სათავეში მოვიდა 2005 წლის იანვრის საპრეზიდენტო არჩევნებით(ამ არჩევნებშ მახ ხმების 62,3%- მიიღო). [25] მისი მოსვლა ხელისუფლების სათავეში შეფასდა,როგორც ისტორიული შანსი მშვიდობის დამყარებისა და ახალი პროცესის დასაწყისისა.არჩევნებს ბოიკოტი გამოუცხადა ისლამური წინააღმდეგობის მოძრაობა ,,ჰამასმა''. ჰამასი ტერორისტულ ორგანიზაციად არის გამოცხადებული ისრაელში,ევროკავშირშა და აშშ-ში.მისი ერთპიროვნული ლიდერი შაიხ აჰმად იასინი მოკლეს 2004 წლის 22 მარტს ღაზას სექტორში ისრაელუს სამხედრო ოპერაციის შედეგად.ჰამასი არ შეეგუება ისრაელის როგორც სახელმწიფოს აღიარებას. ის შეთანხმება რომელიც 2005 წლის 23 იანვარს დაიდო ისრაელთან ცეცხლის შეწყვეტის შედახებ,12 თებერვალს სწორედ მათ მიერ ისრაელის ტერიტორიაზე შეჭრის გამო დაირღვა. 2006 წ. 25 იქნვარს ჩატარდა საპარლამენტო არჩწევნები,რომელშიც ხმების აბსოლიტური უმრავლესობა მოიპოვა ,,ჰამასმა''.)როგორც ჩანს,აბასის პროდასავლური პოლიტიკა აღიზიანებდა პალესტინის მოსახლეწობას, `ფათჰმა~ ვერ გადაწყვიტა ქვეყნის მძიმე სოციალური პრობლება. დაპირისპირებაში ჩაერია ,,არაბული ქვეყნების ლიგა'', რომლის ეგიდით 2007 წ.8 თებერვალს გაიმართა ,,ფათჰისა''და ,,ჰამასის'' სამშვიდობო კონფერენცია მექაში,მდგომარეობის განმუხტვის მიზნით ჩამოყალიბდა

[25] www.parlament.ge საქართველოს პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტი,ისრაელ-ჰამასის კონფლიქტი.ანგარიში 16.თბ.2009.27 იანვარი გვ.2

ეროვნული თანხმობის მთავრობა,15 თებერვალს შექმნეს ახალი მინისტრთა კაბინეტი,რომელიც დაკონპლექტდა ორივე მთავრობის წარმომადგენლობით.ისრაელმა ბოიკოტი გამოუცხადა ახალ მთავრობას. `ეროვნული თანხმობის მთავრობა~ წარუმატებელი აღმოჩნდა.2007წლის 17 ივლისს პალესტინის ლიდერმა მაჰმუდ აბასმა ჩამოაყალიბა ახალი მთავრობა სალამ ფაიადის ხელმძღვანელობოთ (პრემიერ-მინისტრი იყო). ახალი მთავრობა არ ცნო ,,ჰამასმა'',არ დაეთანხმა ,,ფათჰის''მოთხოვნას მთავრეობის მოქმედებთა პროგრამაში შეეტანათ თეზისი,რომ პალესტინის განმანთავისუფლებელი ორგანიზაცია ჩათვლილიყო პალესტინის ხალხის ერთადერთ კანონიერ წარმომადგენლად. ისინი მოითხოვდნენ ფათჰის რეორგანიზაცია და 4 წარმომადგენლების ჩართვას აღმასრულებელ კომიტეტში.დაპირისპირებაში გამარჯვებული გამოვიდა ჰამასი.ამის შემდეგ ღაზას სექტორი დაიკავა ჰამასმა და მისმა ლიდერმა ისმაილ ჰანიამ. 2007 წლის 19 სექტემბერს ისრაელის მთავრობამ ღაზას სექტირი მონათლა ,,ბოროტების ღერძად'',ამის მიზეზი გახდა ის სარაკეტო თავდასხმები,რომელსაც ჰამასი პერმანენტულად ახორციელებდა ისრაელის ქალაქების წინააღმდეგ [26]. 2008 წლის 19 ივნისს ეგვიპტის შუამავლობით შეწყდა სამხედრო იერიშები.ჰამასმა ოფიციალურად განაცხადა ისრაელის ტერიტორიებზე სარაკეტო იერიშების შეწყვეტა, სამაგიეროდ ისრაელი დაპირდა ღაზას სექტორზე ბლოკადის მოხსნას.დაპირისპირებულ მხარეებს შორის გაფორმდა 6 თვიანი სამშვიდობო შეთანხმება. 2008 წლის 4 ნოემბერს ისრაელის არმია შეიჭრა ღაზას სექტორში და მოკლა ჰამასის მებრძოლი ნბალ-ბალაჰი. 2008 წლის 18 დეკემბერს ჰამასმა ოფიციალურად განაცხადა,რომ ისრაელი არ ასრულებდა სამშვიდობო შეთანხმებას.ისრაელი ბლოკადის მიზეზს იმით ხსნიდა ,რომ ჰამასის სამხედრო ინფრასტრუქტურის სამიზნე მისი ქალაქები იყო.ჰამასმა ,,ძალისმიერი მშვიდობა ''დაარღვია მაშინ როდესაც იერიში მიიტნა ნეივოტსა და აშკელონზე. 27 დეკემბერს ისრაელის თავდაცვის არმიამ ღაზას სექტორში დაიწყო სამხედრო ოპერაცია ,,ტყვიების წვიმა'',რომლის მიზანი იყო ჰამასის ინფრასტრუქტურის განადგურება.ისრაელის ტერიტორიაზე სარაკეტო დარტყმების შეწყვეტა და უსაფრთხოების დაცვა. ამ სამხედრო ოპერაციამ გაამწვავა ვითარება

[26] იქვე.საქართველოს პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტი,ისრაელ-ჰამასის კონფლიქტი.ანგარიში 16.თბ.2009.27 იანვარი გვ. 3-4

პალესტინა-ისრაელის კონფლიქტის ზონაში.საჰაერო შეტევა დაიწყო 2008წლის 28 დეკემბერს,100 ტონა ბომბი ჩამოყარეს სექტორში.ისრაელის საჰაერო ძალებმა გაანადგურეს 40 საიდუმლო გვირაბი,რომელიც ღაზას სექტორს ეგვიპტესთან აკავშირებდა.ღაზის სექტორიდანაც განხორციელდა დარტყმები,ჰამასის საინფორმაციო ხელმძღვანელმა მაშალმა პალესტინელებს მოუწოდა,,ინდიფატისკენ''ისრაელის წინააღმდეგ (`ინდიფათ˜ _ არაბული სიტყვაა და ნიშნავს,სალაშქროდ წასვლას,ასე ეწოდება ისრაელსა და პალესტინას შორის შეტაკებებს და დემონსტრაციებს).

2009წ. 5 იანვარს გაერომ მოუწოდა ცეცხლის შეწყვეტის შესახებ.. 2009წლის 7 იანვარს ისრაელის მხარე დათანხმდა ცეცხლის დროებით შეწყვეტას და ჰუმანიტარული კოლიდორის გახსნას,მაგრამ შეთანხმება აქაც დაირღვა,2009 წლის 9 იანვრარა გაეროს უშიშროების საბჭომ მიიღო 18602-ე როზოლუცია,რომელიც ითვალისწინებდა დაუყონებლივ ცეცხლის შეწყვეტას და ისრაელის შეიარაღებული ძალების უკან დახევას,ჰუმანიტარული კოლიდორის გახსნას,საერთაშორისო ორგანიზაციების აქტიურ ჩარევას კრიზისის დაძლევაში,უშიშროების საბჭომ სრული მხარდაჭერა გამოუცხადა ეგვიპტის სამოქმედო გეგმას კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარებისათვის.გაერომ იმედი გამოთქვა ,რომ ორი დემოკრატიული ქვეყანა ისრაელი და პალესტინა შეძლებს მშვიდობიან თანაცხოვრებას.რეზოლუციას 15 სახელმწიფოდან მხარი დაუჭრა 14-მა[27].აშშ-მ თავი შეიკავა რეზოლუციაზე ხელის მოწერისაგან.ამერიკის სახელმწიფო მდივნის კონდოლიზა რაისის განმარტებით:,,ამერიკა უპირველეს ყოვლისა დაელოდება ეგვიპტის სამშვიდობო გეგმას,თუმცა მიესალმება გაეროს ნაბიჯებს მდგომარეობის ესკალაციის თავიდან ასაცილებლად''.აშშ-ს ქმედებას ისრაელში უარყოფითი რეაქცია მოჰყვა.გაეროს უშიშროების საბჭოს მიერ მიღებული რეზოლუციის შემდეგ გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრი ვალტერ შტაინმაიერი ეგვიპტეში შეხვდა ახლო აღმოსავლეთის სამშვიდობო მისიის წარმომადგენლებს და კიდევ ერთხელ განმოთქვა იმედი, რომ ჰამასისა და ისრაელის ლიდერები პრაგმატულად მოეკიდებიან ეგვიპტის სამშვიდობო გეგმას,ამის საპასუხოდ ისრაელმა ღაზას ჩრდილოეთ ნაწილში, ჯაბალიაში ჩამოყარა ბომბები,ისრაელის საგარეო საქმეთა მინისტრმა ლივნი ცივნმა კი ,,ვაშინგტონ პოსტისათვის'' მიცემულ ინტერვიუში

[27] იხ.ინფორმაცია www.un.org.ge. გაეროს ოფიციალური საიტი

განაცხადა:,,საჭიროა სიმტიცე იმისთვის,რომ ჩვენ მიზანს მივაღწიოთ''.არც ჰამასმა მიიღო გეგმა.მათ კაიროში შეხვედრები გამართეს ეგვიპტის ხელმძღვანელებთან და კატეგორიული უარი განაცხადეს კონფლიქტის ზონაში საერთაშორისო ჯარების განლაგებაზე.,,ჩვენ გვესაჭიროება ადამიანის ციცოცხლის დამცველები ღაზას სექტორში და არა საერთაშორისო დამკვირვებლები ეგვიპტის საზღვარზე''-განაცხადა ჰამასის ლიდერმა ჰანიამ. ევროკავშირმა მოუწოდა მხრეები ცეცხლის შეწყვეტისაკენ,ევროკავშირის საგარეო საქმეთა კომისარმა ბენიტა ფერერო ვალდენერმა განაცხადა:,,გასაგებია რომ ისრაელს სურ თავისი სახელმწიფოს ინტერესების დაცვა ,მაგრამ ეს არ უნდა მოხდეს უდანაშაულო ხალხის ხარჯზე''.

ევროკავშირის სტრატეგია ისრაელისა და პალესტინის სტაბილიზაციისათვის-ბოლო წლებმა თვალსაჩინო გახადა,რომ ისრაელსა და პალესტინას შორის კონფლიქტის მოგვარების საკითხი კომპლექსურია და იგი საჭიროებს მრავალმხრივ,რაციონალურ და მიუკერძოებელ მიდგომას.ვინაიდან ტერიტორია ევროკავშირის სამეზობლოშია ორგანიზაცია რეგიონში სტაბილიზაციის ხელშეწყობაში მონაწილეობას გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება,რომელიც 2009-2024 წლამდეა გათვლილი.[28]

2009 წლის 4 იანვარს ევროკავშირმა 3 მილიონი ჰუმანიტარული ტვირთი გამოუყო პალესტინელ დაზარალებულებს.ევროპის ქვეყნებში გაიმართა ისრაელის მხარდამჭერი აქციები. გერმანიის პრეზიდენტმა სრული პასუხისმგებლობა დააკისრა ჰამასს,განვითარებული მოვლენების გამო. ოფიციალურმა რუსეთმა თავი შეკავა მკვეთრი განცხადებებისგან,მას ნეიტრალური პოზიცია უჭირავს,რადგან კარგი ურთიერთობა აქვს როგორც ისრაელთან,ასევე ჰამასთან(როგორც ცნობილია ჰამასმა საქართველოში მიმდინარე აგვისტოს მოვლენების დროს ოფიციალურად დაუჭირა მხარი რუსეთის გადაწყვეტილებას სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთის აღიარების თაობაზე).აღსანიშნავია,რომ რუსეთი შედის ახლო აღმოსავლეთის კონფლიქტის დარეგულირების ე.წ.კვარტეტში(რუსეთი,აშშ,ევროკავშირი ,გაერო).კონფლიქტთან დაკავშირებით არაბულ სამყაროში ჩამოყალიბდა ორი ბანაკი:ირანი ,სირია,ჰიზბალაჰი-რომელმაც ოფიციალურად დაუჭირა მხარი ჰამასს,ბარაკ ობამა აშშ-ს

[28] www.academia.edu. ბერუაშვილი ნ.ევროკავშირის მონაწილეობა ისრაელ-პალესტინის შორის მშვიდობის მხარდაჭერის საკითხებში.თბ.2012.გვ 7

პრეზიდენტი,ხოლო მეორე ბანაკში შედიან ეგვიპტე საუდის არაბეთი და იორდანია,რომლებმაც მოუწოდეს ისრაელს შეეწყვიტა საბრძოლო ოპერაციისა.სირია აქტიურად უჭერდა მხარს ჰამასს,მისი ასეთი აქტიური მხარდაჭერა განაპირობა იმან ,რომ მას სურს დაიბრუნოს 1967 წლის 6 დღიანი ომის დროს დაკარგული ტერიტორიები,კერძოდ კი გოლანის მაღლობი.

ზოგიერთმა ისლამურმა ქვეყანამ ,მათ შორის ირანმა,ეგვიპტე ოფიციალურად დაადანაშაულა,,დანაშაულში მონაწილეობაზე''.სირიამ და კატარმა მოუწოდა არაბული ქვეყნების ლიგას ღაზას სექტორში ძალების მობილიზაციისკენ,ამაზე უარი განაცხადეს ეგვიპტემ, საუდის არაბეთმა და სხვა არაბულმა ქვეყნებმა.მიუხედავად აჰმად ნეჟადის (ირანის პრეზიდენტი) და პალესტინის ეროვნული ადმინისტრაციის წინააღმდეგობისა,არაბული ქვეყნების ლიგის სამიტზე (გაიმართა ქუვეითში) მოწვეულ იქნენ ისრაელის წარმომადგენლები. მოლაპარაკებაზე განხილულ იქნა ჰამასის მიერ წარმოდგენილი ხუთ პუნქტიანი გეგმა ცეცხლის შეწყვეტასთან დაკავშირებით.გეგმის მიხედვით,ჰამასი კისრულობს ვალდებულებას,რომ შეწყვეტს სარაკეტო დარტყმებს ისრაელის მიმრთულებით,ისრაელის ჯარებმა ერთი კვირის განმავლობაში უნდა დატოვონ კონფლიქტის ზონა,საზღვარი უნდა გაიხსნას და მოხდეს ევროპელი და ეგვიპტელი დამკვირვებლებისა და თურქი მოსაზღვრეების ჩაყენება, ამ ტერიტორიის გაკონტროლება,(იგულისხმება ღაზას სექტორი და მდინარე იორდანეს დასავლეთი ნაპირი)უნდა მოხდეს პალესტინის ეროვნული ადმინისტრაციის მიერ ვიდრე ფათჰი და ჰამასი ერთობლივ მთავრობას დააკომპლექტებდნენ.

ომის შედეგების შეფასებისას,ექსპერტთა შეფასება ორად გაიყო:ერთი ნაწილის აზრით,ომიდან გაცილებით უკეთესი შედეგი ჰამასმა მიიღო.ისრაელის მიზანი ,საბოლოოდ გაენადგურებინა მისი ინფრასტრუქტურა განუხორციებელი დარჩა.ჰამასმა შეიარაღების მარაგი და საბრძოლო ბანაკები მაინც შეინარჩუნა,არც მის ცოცხალ ძალას მიუღია დიდი დანაკლისი,ომში დაღუპულთა მესამედი პალესტინელი მშვიდობიანო მოქალაქე იყო.მათი აზრით,ისრაელის მხარემ ფაქტობრივად წააგო საინფორმაციო ომი,ვერ მოახდინა ცეცხლის კოორდინაცია და ხშირ შემთხვევაში მათი მსხვერპლი პალესტინის მშვიდობიანი მოსახლეობა იყო.

ექსპრტთა მეორე ნაწილი ფიქრობს,რომ ისრაელმა ნაწილობრივ შეასრულა თავისი ამოცანა,გაანადგურა ჰამასის ინფრასტრუქტურის უდიდესი ნაწილი,რაც მთავარია ეგვიპტის მიმართულებით არსებული საიდუმლო გვირაბები.ისრაელმა დიდი ზიანი მიაყენა ჰამასის ცოცხალ ძალას,მათ შორის დაიღუპნენ მაღალი რანგის წარმომადგენლები.

ევროკავშირმა სრული მზადყოფნა გამოთქვა დაეწყო აღდგენითი სამუშაობი ღაზის სექტორში,მაგრამ ის ყოველგვარ თანამშრომლობას გამორიცხავს ჰამასთან,როგორც ტერორისტულ ორგანისაციასთან.ტრადიცია ისევ არ დაირღვა და კონფლიქტი დროებით გაიყინა.ამის შემდგომ ჰამასი კვლავ აგრძელებს პარტიზანულ ბრძოლებს და ისრაელის უსაფრთხოების პრობლემა კვლავ აქტიურ ფაზაში რჩება,განსაკუთრებით მის სამხრეთ რეგიონში.[29]

თავი III:ისრაელი-პალესტინას კონფლიქტის პოლიტიკური და სამართლებრივი მხარეები

3.1 კონფლიქტის მიზეზი

უკვე ნახევარ საუკუნეზე მეტია,მსოფლიოს ყურადღების ცენტრში ისრაელი-პალესტინის კონფლიქტია მოქცეული,რომელსაც სხვანაირად ახლო აღმოსავლეთის კონფლიქტს უწოდებენ.ამ სახელწოდებიდანაც ჩანს,თუ რაოდენ დიდი მნიშვნელობისაა ისრაელ-პალესტინის დაპირისპირება.ეს კონფლიქტი ყოველთვის საერთაშორისო საზოგადოების უპირველეს ყურადღებას იმსახურებდა და დღესაც ასე გრძელდება.ხშირად საერთაშორისო სისტემაში სხვა არანაკლებ სისხლიანი და ტრაგიკული კონფლიქტები,ისრაელ-პალესტინის დაპირისპირების გამო მეორე პლანზე ინაცვლებდა.

ახლო აღმოსავლეთის ერთ-ერთი ყველაზე ახალგაზრდა სახელმწიფო -ისრაელი შეიქმნა მეორე მსოფლიო ომის დამთავრებიდან სამი წლის შემდეგ პალესტინის

[29] საქართველოს პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტი NN16, 2009, 27 იანვარი (მოამზადა მაია შავიძემ) http://www.parliament.ge

ტერიტორიის ნაწილზე,რომელიც 1948 წლის მაისამდე ინგლისის სამანდატო მმართველობის ქვეშ იმყოფებოდა.1947 წლის ნოემბრის ბოლოს გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ მიიღო გადაწყვეტილება პალესტინაში ორი დამოუკიდებელი -არაბული და ებრაული სახელმწიფოს შექმნის შესახებ.გენერალური ასამბლეის მიერ ორი ახალი სახელმწიფოს დაარსებისა და მათ შორის საზღვრების დადგენის თაობაზე გადაწყვეტილების მიღებისთანავე პალესტინაში დაიწყო შეიარაღებული ბრძოლა არაბებსა და ებრაელებს შორის.პალესტინაში პოლიტიკური ვითარების დაძაბასთან დაკავშირებით,1948 წლის მაისში მოიწვიეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის საგანგებო სესია.აშშ-მ და ინგლისმა ურთიერთშეთანხმების საფუძველზე პალესტინაზე გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მეურვეობის დაწესება მოითხოვეს,რაც ფაქტობრივად ამ არაბულ ქვეყანაში საერთო კოლონიური მმართველობის დამყარებას ნიშნავდა.გაერო-მ მეურვეობის გეგმა არ სცნო.ამის გამო 1948 წლის 14 მაისს ინგლისი იძულებული გახდა მანდატზე უარი ეთქვა იმავე დღეს დაარსდა ისრაელის სახელმწიფო.[30]

ყველაფერი 1948 წლის 14 მაისს ისაელის დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნის დღიდან დაიწყო,რომელიც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ანასამბლეის გადაწყვეტილების შედეგად გახდა შესაძლებელი.გენერალურმა ამსამბლეამ 1947 წლის 29 ნოემბერს პალესტინის ტერიტორიაზე ინგლისის მანდატი გააუქმა და ამავე მიწაზე ორი სახელმწიფოს შექმნა დაადგინა.ამან პალესტინის ტერიტორიაზე ,რომელიც ძირძველი პალესტინელი არაბებით იყო დასახლებული,ახლო აღმოსავლეთის საერთაშორისო ურთიერთობებში ახალი პოლიტიკური ვითარების ჩამოყალიბებას მისცა დასაბამი.ეს ახალი ვითარება კი არაბულ ტერიტორიაზე ებრაული სახელმწიფოს შექმნას უკავშირდებოდა.არაბული სამყაროსათვის მიუღებელი აღმოჩნდა მათ შორის ებრაული სახელმწიფოს გაჩენა,რამაც,თავის მხრივ,მსოფლიოს სხვადახვა კუთხიდან ასიათასობით ებრაელის სამშობლოსაკენ დაძვრის ობიექტური პროცესი გამოიწვია.ამასთანავე,არაბული სამყაროს გაღიზიანებასა და ნეგატიურ განწყობაში უდიდესი როლი შეასრულა ,,ისრაელის დამოუკიდებლობის დეკლარაციის ''

[30]მენთეშაშვილი ზ.ახლო და შუა აღმოსავლეთი.თბ.2002წ.გვ.134.

მიღებამ,რომლის თანახმადაც ისრაელი ცხადდება არა მხოლოს ებრაულ,არამედ ,,სიონისტურ სახელმწიფოდ'',ანუ მთელი სოფლიოს ებრაელთა სახელმწიფოდ.სიონისტური კონცეფცია კი როგორც ცნობილია,,რჩეული ხალხის აღთქმულ ქვეყანაში'' დაბრუნებას ისახავდა მიზნად და მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეებში გაფანტულ ებრაელებს ისრაელისკენ უწყვეტ ნაკადად დაძვრას და ისრაელის მიწების ათვისებისკენ მოუწოდებდა ეს პროცესი კი,რასაკვირველია,პალესტინელი არაბების შევიწროების ფაქტორად იქნა აღქმული და არცთუ უსაფუძვლოდ.[31]

გაერთიანებული ერების ორგანიზაცია მსოფლიო საზოგადოებას არწმუნებდა ,რომ პალესტინაში ორივე ერის კანონიერი უფლებები დაცული იქნებოდა ,მაგრამ ამ დაპირებას სინამდვილესთან საერთო არაფერი ჰქონდა.ეროვნული შუღლის ზრდასთან ერთად,თვალსაჩინო ხდებოდა სიონისტური მოღვაწეობის სწრაფვა პალესტინის ებრაულ სახელმწიფოდ გადაქცევისაკენ.ისაელის მმართველი წრეები კი აცხადებდნენ,რომ მათ მთავარ მიზანს მსოფლიოს ყველა ებაელის ერთ სამშობლოში თავმოყრა წარმოადგენდა[32].

3.2 კონფლიქტში საერთაშორისო ორგანიზაციების როლი და განვითარების ეტაპები

გაეროს 1947 წლის N181 რეზოლუციის თანახმად შეიქმნა სპეციალური კომისია,რომელსაც პალესტინის ტერიტორიაზე შექმნილი ებრაული და არაბული სახელმწიფოებისათვის უნდა გადაეცა აღმასრულებელი ხელისუფლეება,მაგრამ ამ კომისიის საქმიანობა პარალიზებული იქნა ინგლისის ადმინისტრაციის მიერ,რომელიც ყოველხმრივ ცდილობდა ხელი შეეშალა ზემოხსენებული რეზოლუციის ცხოვრებაში გატარებისათვის.სიონისტები ცდილობდნენ იმ ტერიტორიის გაზრდას,რომელიც ებრაულ ნაწილში უნდა შესულიყო.

[31] იხ.შესაბამისი ინფორმაცია https://www.militarium.org/israeli-vs-palestina/

[32] მენთეშაშვილი ზ.ახლო და შუა აღმოსავლეთი თბ.2002წ.გვ.135

ჯერ კიდევ სახელმწიფოს ოფიციალურად შექმნამდე ტერორისტული აქტებისა და სამხედრო ძალის გამოყენებით სიონისტები აიძულებდნენ პალესტინელ არაბებს დაეტოვებინათ ქალაქები და დასახლებული პუნქტები,რომელიც გაერო-ს გადაწყვეტილებით არაბული სახელმწიფოს საზღვრებში უნდა შესულიყო.

გაერო-ს N 181 რეზოლუციის მიღების შემდეგ არაბული ქვეყნების ლიგის პოლიტიკურმა კომიტეტმა ჩაატარა რამდენიმე სხდომა შექმნილ სიტუაციაში ,,მისაღები ზომების''განსახილველად.სხდომების შედეგად 1947 წლის დეკემბერში მიღებულ იქნა გადაწყვეტილება ,არაბული ქვეყნების მონაწილეობით პალესტინის გათავისუფლების არმიის შექმნისა და მისი პალესტინაში გაგზავნვის თაობაზე.სამხედრო ოპერაციები თავდაპირველად პალესტინაში არაბთა ძალების სასარგებლოდ წარიმართა ,მაგრამ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს რამოდენიმე სხდომაზე მიღებული გადაწყვეტილებების შედეგად 1948 წლის 11 ივნისს მხარეები დროებით დაზავდნენ.დროებითი ზავის შემდგომი ოთხი თვე კი თვით გაერო-ში და საერთოდ,საერთაშორისო ასპარეზზე კაპიტალისტური სახელმწიფოებისა და პირველ რიგში, აშშ-ის აქტიური კულისების მიღმა დიპლომატით აღინიშნა,რომლის მიზანი იყო,თავიდან აეცილებინათ ისრაელის დამარცხება და კონფლიქტის სამართლიანი მოწესრიგება.აღსანიშნავია,რომ დროებითი ზავის დადების შემდეგ ისრაელის პრემიერ-მინისტრმა ბენ-გურიონმა კნესეტში(ისრაელის პარლამენტი) გამოსვლისას აღნიშნა,რომ ,,ჯერ ერთი N181 რეზოლუცია მკვდარია,მეორე- არაბებთან კონფლიქტი სამხედრო ძალით გადაიჭრება და მესამე-პალესტინელი ლტოლვილები თავიანთ მიწებზე არ უნდა დაბრუნდნენო''.

1948-1948 წლების არაბ-ისრაელის,ანუ როგორც მას სხვაგვარად უწოდებენ - პალესტინის-ომის - შემდეგ,არაბული ქვეყნების ისრაელთან ურთიერთობის პრინციპი ამ სახელმწიფოს არცნობა იყო,რაც დასტურდება არაბული ქვეყნების ლიგის საბჭოს 1950 წლის თათბირზე.ისრაელის მირ გაერო-ს გადაწყვეტილების პალესტინის არაბული სახლემწიფოსათვის გამოყოფილი ტერიტორიების ხელში ჩაგდებამ პალესტინელი არაბების დანაწევრება და მათი უმრავლლესობის პალესტინიდან წასვლა გამოიწვია.ისაელის კატეგორიულმა უარმა ,ეცნო გაერო-ს მიერ მიღებული N 194 და

სხვა რეზოლუციები ,რომელიც პალესტინელი ლტოლვილების სამშობლოში დაბრუნების უფლების ცნობას და მათი დაკარგული ქონების კომპენსაციას მოითხოვდნენ,კიდევ უფრო განამტკიცა პალესტინელი არაბების რწმენა,ებრძოლათ თავიანთი უფლებებისათვის.

1964 წლის ბოლოს იერუსალიმის არაბულ სექტორში ჩატარდა პალესტინის ეროვნული საბჭოს პირველი სესია,რომელშიც მონაწილეობდნენ პალესტინელთა წარმომადგენლები იორდანიიდან,სირიიდან,ლიბანიდან,ერაყიდან,სპარსეთის ყურის საემიროებიდან და ღაზას სექტორიდან.საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება პალესტინის გათავისუფლების ორგანიზაციის (პგო) შექმნის თაობაზე და დაამტკიცა ეროვნული ქარტია.ქარტია ყველა პალესტინელს პგო-ს წევრად ,პალესტინელ ხალხს კი,,მის შვილებად''აცხადებდა.ეროვნულმა საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება პალესტინის გათავისუფლების არმიის შექმნის თაობაზეც.1964 წლის სექტემბერში ალექსანდრიაში ჩატარებული არაბული სახელმწიფოების ხელმძღვანელთა კონფერენციაზე არაბულმა ქვეყნებმა ოფიციალურაც ცნეს პგო,როგორც ,,პალესტინელთა საზოგადოების საფუძველი''. პგო-მ დაიწყო მონაწილეობის მიღება არაბული ქვეყნების ლიგის მუშაობაში და მისი წარმომადგენლობები რიგ არაბულ ქვეყნებში გაიხსნა.

1968 წლის ივლისში პგო-ს ახალი ეროვნული ქარტია და წესდება მიიღეს.ორგანიზაციის ავანგარდში დადგა ფათჰ-ი,რომელიც იმ დროს დაახლოებით 15 000 წევრს აერთიანებდა და რომლის რეალისტურმა პოლიტიკურმა პლატფორმამ საშუალება მისცა,გაეერთიანებინა ფართო მასები,რომელიც სხვადასხვა არაბული სახელმწიფოებისა და პოლიტიკური მმართველობის გავლენას განიცდიდნენ.ფათჰ-ის ხელმძღვენელი როლი წიგააღმდეგობის მოძრაობაში პალესტინის ეროვნული საბჭოს V სესიაზე,1969 წლის თებერვალში ,დამტკიცდა,რომელზეც ფათჰ-მა 106-დან 33 ადგილი მიიღო.პგო-ს აღმასრულებელი კომიტეტის თავჯდომარედ არჩეული იქნა იასირ არაფატი.

1970 წლის მაისში ათამდე ორგანიზაცია შეთანხმდა.მათ აღიარეს პგო-ს ხელმძღვანელი როლი და საფუძველი ჩაუყარეს ,,ახალ პგო-ს'',რომელმაც თავის ლოზუნგად გამოაცხადა:,,პალესტინის გათავისუფლება,გზა არაბთა ერთიანობისათვის''. 1970

წლამდე პგო-ს მიზნებს წარმოადგენდა პალესტინის აუცილებელი გათავისუფლება და მისი პოზიციების გამყარება არაბულ სამყაროში.

70-იანი წლების დასაწყისში მსოფლიოში,ახლო აღმოსავლეთში და თვით პალესტინის წინააღმდეგობაში შექმნილმა მდგომარეობამ აიძულა პალესტინელები სხვადასხვაგვარად შეეხედათ თავიანთი ეროვნული უფლებების აღდგენისათვის ბრძოლის მეთოდებზე.ამ ცვლილებამ ასახვა ჰპოვა 1971 წლის მარტში პალესტინის ეროვნული სავჭოს VIII სესიის ერთ-ერთ რეზოლუციაში,სადაც ხაზგასმული იყო შეიარაღებიული ბრძოლის მნიშვნელობა,მაგრამ ამავე დროს ცხადდებოდა ბრძოლის სხვადასხვა ფორმების გამოყენების აუცილებლობაც.ამ მიმართულებით 1973 წლის აგვისტოში,პგო-ს აღმასრულებელი ხელისუფლების უშუალო მომაწოლეობით ,პალესტინის ეროვნული ფრონტი შეიქმნა,რომელმაც გააერთიანა მდინარე იორდანიის დასავლეთ ნაპირზე და ღაზის სექტორის,ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები პალესტინელები.

1974 წლის ივნისში კაიროში გაიმართა პალესტინის ეროვნული საბჭოს XII სესია,რომელმაც მე-10 პუნქტში შეიტანა ოკუპაციისაგან გათავისუფლებული ტერიტორიების ნაწილზე პალესტინის ეროვნული ხელისუფლების დამყარების პრინციპი.1974 წლის ივნისში კაიროში გამართულმა სესიამ აღიარა პალესტინელი არაბი ხალხის უფლებების აღდგენისათვის ბრძოლის პოლიტიკური პრინციპები.1974 წლის ოქტომბერში გაერი-ს გენერალურმა ასამბლეამ 105 ხმით 4-ის წინააღდეგ მიიღო გადაწყვეტილება,მოეწვია პგო პალესტინის პრობლემის განსახილველად,როგორც პალესტინელი არაბების ერთადერთი კანონიერი წარმომადგენელი.ამ განხილვის შედეგად იმავე წლის ნოემნერში გარო-ს გენერალურმა ასამბლეამ ხმების დიდი უმრავლესობით მიიღო რეზოლუცია,რომელმაც დაადასტურა პალესტინელი არაბი ხალხის თვითგამორკვევის,ეროვნული დამოუკიდებლობისა და სუვერენიტეტის,აგრეთვე კუთვნილ ტერიტორიებზე დაბრუნების უფლება ყოველგვარი ჩარევის გარეშე.მეორე რეზოლუციამ კი პგო-ს გაეროში და მის ორგანოებში მუდმივი

წარმომადგენლის სტატუსი მიანიჭა. 1976 წელს პგო-მიუმხრობლობის მოძრაობის სრულუფლებიანი წევრი გახდა.[33]

მას შემდეგ, რაც 1967 წელს ისრაელმა პალესტინის ტერიტორიების ოკუპაცია მოახდინა, გაერომ რეზოლუცია 242 ერთხმად მიიღო, რომლის მიხედვითაც, ისრაელს ტერიტორიების დეოკუპაცია უნდა განეხორციელებინა. დოკუმენტმა სამართლებრივად ცნო პალესტინელების უფლება მათ ტერიტორიაზე.

1976 წლის გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუცია, რომელიც 1967 წლამდე არსებული საზღვრებით ორი სახელმწიფოს იდეას ინიცირებდა, აშშ-მა დაბლოკა იმ მიზეზით, რომ მხარეებს შორის საზღვარი ორმხრივი მოლაპარაკებებით უნდა გარკვეულიყო. აღნიშნულ იდეას 1970-იანი წლებიდან ფართო მხარდაჭერა აქვს გენერალური ასამბლეების სხდომებზე.

სამშვიდობო მოლაპარაკებების დასაწყებად მხარეებს შორის პირველი პირდაპირი შეხვედრა 1991 წელს მადრიდის სამშვიდობო კონფერენციაზე აშშ-ის მაშინდელი პრეზიდენტის ჯორჯ ბუში უფროსის ინიცირებით მოხდა. 1993 წელს ისრაელსა და პალესტინის განმანთავისუფლებელ ორგანიზაციას შორის ოსლოში შეთანხმება შედგა, რის მიხედვითაც, პალესტინის დროებით ხელისუფლებას დასავლეთ სანაპიროს ურბანულ (ზონა A), რურალურ (ზონა B) ტერიტორიებსა და ღაზის სექტორზე სამოქალაქო და უსაფრთხოების სფეროში კონტროლის დამყარების უფლება ენიჭებოდა. შეთანხმება არაფერს ამბობდა იერუსალიმის სტატუსზე.

,, ისრაელის დასახლებებს არ გააჩნიათ იურიდიული ძალა, წარმოადგენს საერთაშორისო სამართალდარღვევას, უშიშროების საბჭოში კვლავ ადასტურებენ აღნიშნულს''.

დღევანდელ რეზოლუციაში ნათქვამია,რომ ისრაელის მიერ ოკუპირებულ პალესტინის ტერიტორიაზე დასახლებული პუნქტი ,,არ არის იურიდიულად სწორი და საერთაშორისო სამართლის უხეში დარღვევაა''.საბჭოს წევრებმა განაცხადეს,რომ ისინი ვერ აღიარებენ საზღვრებს,რომლების არსებობდა 1967 წლის 4 ივნისის

[33] ჟღენტი კ.პალესტინა და პალესტინელები. ,,ნაკადული''თბ.1986წ გვ.60-72.

მდგომარეობით,მათ შორის აღმოსავლეთ იერუსალიმში.გამონაკლისი შეიძლება გაკეთდეს მხოლოს იმ შემთხვევაში,თუ მხარეები შეთანხმდებიან.

როგორც ზემოთ ავღნიშნეთ 1993 წლის 13 სექტემბერს ვაშინგტონში, ხელმოწერილ იქნა ისრაელის სახელმწიფოსა და პალესტინის განთავისუფლების ორგანიზაციის ,,დეკლარაცია პალესტინის საშუალედო თვითმართველობის მოწყობის პრინციპების შესახებ'' [34] .ამ დოკუმენტის ხელმოწერას წინ უძღოდა ფარული ხანგრძლივი მოლაპარაკება ნორვეგიის დედაქალაქ ოსლოში ,რის გამოც ამ შეთანხმებას -,,ოსლოს შეთანხმებებს'' უწოდებენ.ზემოხსენებული დეკლარაციის მიზანი იყო პალესტინის დროებითი თვითმართველობის ადმინისტრაციის ჩამოყალიბება და ხუთწლიანი გარდამავალი პერიოდის დაწესება,რომლის შედეგადაც უნდა შექმნილიყო პალესტინის სახელმწიფო.

,,ოსლოს შეათანხმებები'' დროებითი და არასრული იყო .ისინი მარტივ საკითხებს წყვეტდა ,ხოლო რთული მომავლისთვის გადაჰქონდა ,ეს ,,მომავალი''კი კარგა ხანია გავიდა.განუსაზღვრელი დარჩა,მაგალითად,იერუსალიმის სტატუსი,პალესტინელი ლტოლვილების,ებრაული ახალშენების საკითხები.დაუდგენელი დარჩა საზღვარი ისრაელსა და მომავალ პალესტინურ სახელწიფოს შორის.,,ოსლოს შეათანხმებებმა''შექმნა სამშვიდობო პროცესის დაჩქარების ილუზია.ვინაიდან პალესტინელებმა ოფიციალურად აღიარეს ისრაელის უფლება იარსებოს,,სამანდატო პალესტინის''ტერიტორიის 78% ზე,ე.ი.1949 წელს დაზავებით მათ ხელში გადასულ ფართობზე ,მათ იმედი გაუჩნდათ ,რომ გაეროს უშიშროების საბჭოს 242-ე და 338-ე რეზოლუციების საკუთარი ინტერპრეტაციის საფუძველზე უფლება აქვთ დანარჩენ 22%ზე,მცირე სასაზღვრო ცვლილებებით.მაგრამ საქმე ასე მარტივად არ არის .ისრაელი 1949 წელს მიღებულ ტერიტორიებს საკუთრად მიიჩნევს დანარჩენს კი სადავოდ[35].

გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციები 242(22 ნოემბერი 1967წ.),338(22 ოქტომბერი,1973წ.) 1322(7 ოქტომბერი,2000.) და ყველა სხვა,რომელიც ისრაელ-პალესტინის კონფლიქტს ეხება,1967 წელს ისრაელის მიერ დაკავებულ ტერიტორიებს

[34] გაჩეჩილაძე რ. ახლო აღმოსავლეღი.სივრცე,ხალხი და პოლიტიკა თბ 2008.გვ.458
[35] გაჩეჩილაძე რ.ახლო აღმოსავლეთი:სივრცე ხალხი და პოლიტიკა თბ. 2008.გვ458;459;

განიხილავს ,როგორც ,,ოკუპირებულს'' და მოუწოდებს ისრაელს,გაიყვანოს იქიდან თავისი შეიარაღებული ძალები.

მაგრამ ისრაელში ამ ფართობს უბრალოდ ,,ტერიტორიებს''უწოდებენ და მიიჩნევენ მათ ,,სადავოდ'',ჯერ დაუდგენელი სტატუსით.ამის საბაბს ისრაელს აძლევს გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუცია 242,რომლის ტექსტში ისრაელის არმიას მოეთხოვება გასვლა,,ოკუპირებული ტერიტორიებიდან''და არა ,, მთელი ოკუპირებული ტერიტორიებიდან''[36].

2334 (2016) რეზოლუციის მიღება 14 ხმით! შეერთებულ შტატებმა უარი თქვა, საბჭომ კიდევ ერთხელ დაადასტურა მისი მოთხოვნა, რომ ისრაელმა დაუყოვნებლივ და მთლიანად შეწყვიტოს ოკუპირებული პალესტინის ტერიტორიის ყველა დასახლება, მათ შორის აღმოსავლეთ იერუსალიმი. ხაზგასმით აღინიშნა, რომ არც 1967 წლის 4 ივნისის ცვლილებებს არ აღიარებს, მათ შორის, იერუსალიმთან დაკავშირებით, გარდა იმ საკითხებისა, რომლებიც შეთანხმდნენ ორ მხარესთან მოლაპარაკებებით.

საბჭომ მოუწოდა დაუყოვნებლივ გადაიდგას ნაბიჯები, რათა თავიდან აიცილონ მშვიდობიანი მოსახლეობის მიმართ ძალადობის ყველა ქმედება, მათ შორის ტერორისტული აქტების, ასევე პროვოკაციისა და განადგურების ყველა სახე. მან ასევე მოუწოდა ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის ძალისხმევის გაძლიერებას, მათ შორის არსებული უსაფრთხოების კოორდინაციის გზით და ნათლად დაგმო ტერორიზმის ყველა ქმედება. საბჭომ ორივე მხარეს მოუწოდა შეენარჩუნებინათ სიმშვიდე და თავშეკავება და თავი შეიკავონ პროვოკაციული ქმედებებისგან, წაქეზება და ანთებითი რიტორიკა შეწყდეს, რათა მოხდეს სიტუაციის განმუხტვა და ნდობის აღდგენა.

ასევე, საბჭომ მოუწოდა ყველა მხარეს, გააგრძელონ კოლექტიური ძალისხმევა, რათა დაიწყოს სარწმუნო მოლაპარაკებები ყველა საბოლოო სტატუსთან დაკავშირებით ახლო აღმოსავლეთის სამშვიდობო პროცესში, და ახლო აღმოსავლეთის კვარტეტის (ევროკავშირის, რუსეთის ფედერაციის მიერ განსაზღვრული დროის ფარგლებში),

[36] გაჩეჩილაძე რ.ახლო აღმოსავლეთი:სივრცე ხალხი და პოლიტიკა თბ. 2008.გვ451

გაერთიანებული ერების ორგანიზაცია, შეერთებული შტატები) 2010 წლის 21 სექტემბრის განცხადებაში. მან მოუწოდა ყველა სახელმწიფოს, გამოავლინოს თავიანთი შესაბამისი ურთიერთობები, ისრაელის სახელმწიფოს ტერიტორიისა და 1967 წლიდან ოკუპირებულ ტერიტორიებს შორის.

უშიშროების საბჭომ მტკიცე გადაწყვეტილება მიიღო, იმედი გამოთქვა, რომ ისრაელის დასახლების საქმიანობასა და დარღვევებთან დაკავშირებული გლობალური მოწოდება ხელს შეუწყობს კანონის შესაბამისობას, დაძაბულობის განმუხტვას და ძალადობის აღმოფხვრას.კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ ისრაელის მიერ პალესტინის ტერიტორიაზე დასახლებული პუნქტს 1967წ. არ გააჩნია იურიდიული ძალა და წარმოადგენს საერთაშორისო სამართლით გამოწვეულ უხეშ დარღვევას.ხაზგასმით აღნიშნავს, რომ იგი არ აღიარებს 1967 წლის 4 ივნისის ხაზების ნებისმიერ ცვლილებას, მათ შორის იერუსალიმთან დაკავშირებით, გარდა იმ მხარეებისა, რომლებიც შეთანხმდნენ მოლაპარაკებების გზით. მოუწოდებს ყველა სახელმწიფოს, ამ რეზოლუციის პირველი პუნქტის გათვალისწინებით, გამოავლინოს თავიანთი შესაბამისი საქმეებით, ისრაელის სახელმწიფოს ტერიტორიისა და 1967 წლიდან ოკუპირებულ ტერიტორიებს შორის.მოუწოდებს დაუყოვნებლივ გადადგას მშვიდობიანი მოსახლეობის მიმართ ძალადობის ყველა ქმედება, მათ შორის ტერორის აქტების, ასევე პროვოკაციისა და განადგურების ყველა ქმედების აღმოფხვრისკენ, მოუწოდებს ორივე მხარეს საერთაშორისო სამართლის საფუძველზე, მათ შორის საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლისა და მათი წინა შეთანხმებებისა და ვალდებულებების შესრულებას, დაიცვან სიმშვიდე და თავშეკავება, და თავი შეიკავოს პროვოკაციული ქმედებებისაგან, წაქეზებისაგა და ანთებითი რიტორიკისგან, მოუწოდებს ყველა მხარეს გააგრძელონ მშვიდობისა და უსაფრთხოების ხელშეწყობის ინტერესი, ახლო აღმოსავლეთის სამშვიდობო პროცესში ყველა საბოლოო სტატუსის საკითხზე სარწმუნო მოლაპარაკებების დაწყებისა და 2010 წლის 21 სექტემბრის განცხადებაში კვარტეტის მიერ განსაზღვრულ ვადაში დაიწყოს კოლექტიური ძალისხმევა.მოუწოდებს ამ თვალსაზრისით საერთაშორისო და რეგიონული დიპლომატიური ძალისხმევის გაღრმავებასა და დაჩქარებას, რომელის მიზნად ადასტურებს თავის გადაწყვეტილებას მხარეთა მხარდასაჭერად მოლაპარაკებებში და

შეთანხმების განხორციელებაში. ადასტურებს თავის გადაწყვეტილებას, შეისწავლოს პრაქტიკული გზები და საშუალებები, რათა უზრუნველყოს შესაბამისი რეზოლუციების სრულყოფილად განხორციელება[37].

ახლო აღმოსავლეთის კონფლიქტის ისტორიაში 2000 წელს ახალი სისხლიანი ფურცელი ჩაიწერა.პალესტინელმა რადიკალურმა ორგანიზაციებმა ისრაელის წინააღმდეგ ერთიანი ფრონტით ბრძოლა გამოაცხადეს.ვითარება უკვე კონტროლს აღარ ემორჩილებოდა,ისრაელ-პალესტინის კონფლიქტი,ისე როგორც არასდროს ,რეალური კომპრომისული ნაბიჯების გადადგმას მოითხოვდა[38].

ამ მიზნით, აშშ-ს ,რუსეთის,ევროკავშირისა და გაეროს ინიციატივთ სამშვიდობო ოთხეული ჩამოყლიბდა,რომელმაც რეალურად დაიწყო ზრუნვა კონფლიქტის დარეგულირებისათვის.,,საერთაშორისო კვარტეტმა''სამშვიდობო გეგმა შეიმუშავა,რომელსაც ,,საგზაო რუკა''ეწოდა.ისრაელ-პალესტინის თანამედროვე კონფლიქტი,სწორედ ამ გეგმის გარშემო ვითარდებოდა.გეგმა ოთხ ძირითად ეტაპად უნდა განხორციელდეს,რისი ლოგიკური დასასრულიც პალესტინის დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნა იქნება.ალბად აუცილებელია მოკლედ მიმოვიხილოთ ,,საგზაო რუკის''პირობები:

I -ეტაპი

ტერორის და ძალადობის შეწყვეტა,პალესტინელთა ცხოვრების ნორმალიზაცია და პალესტინური ინსტიტუტების შექმნა.განხორციელების ვადა-2003 წლის მაისამდე.

ზოგადი ნაწილი

პალესტინელები დაუყოვნებლივ წყვეტენ ძალადობას.ასეთი აქცია მხარდაჭერილი უნდა იყოს ისრაელის შესაბამისი ქმედებებით.პალესტინელებმა და ებრაელებმა უნდა განაახლინ თანამშრომლობა უსაფრთხოების სფეროში.თავის მხრივ,ისრაელი იღებს

[37] იხ.ინფორმაცია https://www.un.org/press/en/2016/sc12657.doc.htm

[38] ღირსიაშვილი რ. პოლიტიკური კვლევის ცენტრი.ისრაელი-პალესტინის კონფლიქტი:ორი ერი, ერთი მიწა. 2003წ.გვ.58

ვალდებულებას,უზრუნველყოს პალესტინელთა ნორმალური ცხოვრების პირობები.კერძოდ ,ისრაელი ტოვებს პალესტინის ტერიტორიებს,რომელთა ოკუპაციაც 2000 წლის 28 სექტემბერს მოახდინ.გარდა ამისა,ისრაელმა უნდა შეაჩეროს პალესტინის ტერიტორიებზე ყველა უკანონო ებრაული დასახლებების მშენებლობა.რაც მთავარია,პირველი ეტაპის განხორციელება უნდა დაიწყოს შემდეგი ორმხრივი განცხადებების გაკეთებით:

- პალესტინის მხარე სცნობს ისრაელის მხარის არსებობას და წყვეტს ძალადობრის აქტებს;

- ისრაელის მხარე აკეთებს არაორაზროვან განცხადებას,რომლის თანახმადაც ის აღიარებს ორი დამოუკიდებელი სახელმწიფოს მშვიდობიანი თანაცხოვრების უფლებას.

II ეტაპი

გარდამავალი პერიოდი

განხორციელების ვადა :2003 წლის ივნისი-დეკემბერი

გარდამავალ პერიოდში დაპირისპირებული მხარეები იცავენ პირველი ეტაპის პირობებს და განაგრძობენ საქმიანობას ამ პირობების დასაცვის მიზნით.

2003 წლის დეკემბერში მოიწვევა საერთაშორისო კონფერენცია ,,სამშვიდობო კვარტეტის''მიერ.კონფერენციაზე უნდა მოხდეს ,,საგზაო რუკის''პირობების შესრულების განხილვა და სათავე დაედოს მესამე ეტაპის პროცესის დაწყებას,რომელიც პალესტინის დამოუკიდებელი სახელმწიფოს და ისრაელისა და პალესტინის მშვიდობიან თანაცხოვრებას ითვალისწინებს.კონფერენციაზე უნდა შეიქმნას საერთაშორისო დამკვირვებელთა ჯგუფი,რომელის ,,საგზაო რუკის'' პირობების შესრულებასა და მონიტორინგს განახორციელებს.

III ეტაპი

შეთანხმება მუდმივ სტასუსზე და ისრაელ-პალესტინის კონფლიქტის საბოლოო დასრულება

განხორციელების ვადა 2004-2005 წლები

მესამე ეტაპის მიზანია განხორციელებული რეფორმების გამყარება და პალესტინური ინსტიტუტების სტაბილიზაცია.

,,სამშვიდობო კვარტეტის ''მიერ,2004 წლის დასააწყისში,მოწვეულ იქნა მეორე საერთაშორისო კონფერენცია,დამოუკიდებელი პალესტინის სახელმწიფოს შექმნის თაობაზე მიღწეული შეთანხმება უნა განამატკიცოს.აგრეთვე,კონფერენციაზე უნდა განისაზღვროს 2005 წლისთვის პალესტინის მუდმივი სტატუსი,მათ შორის უნდა გადაწყდეს საზღვრების ,იერუსალიმის გაყოფისა და ლტოლვილების პრობლემები.

III-ეტაპი პალესტინის სახელმწიფოს აღიარებით და იერუსალიმის საკითხის გადაწყვეტით მთავრდება.ამის შემდეგ იწყება ისრაელისა და პალესტინის დამოუკიდებელი სახელმწიფოების მშვიდობიანი თანაცხოვრებისა და თანამშრომლობის პირობები.

მოქმედება მშვიდობისათვის- ახლო აღმოსავლეთის კონფლიქტის დარეგულირების საქმე ნელ-ნელა ახალ ფაზაში შედის.მას შემდეგ,რაც ორივე დაპირისპირებულმა მხარემ ვაშინგტონისა და ,,საერთაშორისო კვარტეტის''ინიციატივით შედგენილი სამშვიდობო გეგმა ,,საგზაო რუკა''მიიღო,კონფლიქტის მოგვარებაში დადებითი გარდატეხა აშკარად შეიმჩნეოდა.ერთი თვის თავზე- 30 მაისს,ისრაელისა და პალესტინის პრემიერ-მინისტრმა იერუსალიმში მოლაპარაკებათა უკვე მეორე რაუნდი დაასრულეს.

ისრაელის მთავრობის წარმომადგენლების განცხადებით,შაროლმა თავის პალესტინელ კოლეგას კვლავ შესთავაზა ისრაელის არმიის ნაწილების გადაყვანა ღაზას სექტორისა და მდინარე იორდანეს დასავლეთ სანაპიროს იმ რაიონებიდან,სადაც პალესტინის ადმინისტრაცია მზად არის საკუთარ თავზე აიღოს ვითარების კონტროლი.

თავის მხრივ,პალესტინის ადმინისტრაციის წარმომადგენლებმა განაცხადეს,რომ ისინი კმაყოფილნი არიან მოლაპარაკების მეორე რაუნდის შედეგებით. ამასთანავე,მათ კვლავ

წამოაყენეს თავიანთი მოთხოვნა ოკუპირებულ ტერიტორიებზე ებრაული დასახლებების მშენებლობის შეწყვეტის შესახებ.

არიელ შარონთან გამართულ მოლაპარაკებაზე პალესტინის პრემიერ-მინისტრმა მაჰმუს აბასმა,იგივე აბუ მაზენმა,გამოთქვა იმედი,რომ ის სულ მალე შეძლებდა შეთანხმების მიღწევას ყველაზე მსხვილი ექსტრემისტულ დაჯგუფება ,,ჰამასთან'' ცეცხლის შეწყვეტის თაობაზე.თუმცა,თავად ,,ჰამასის''წარმომადგენლებმა განაცხადეს,რომ მზად არიან შეაჩერონ ტერორისტი კამიკაძეების მოქმედება მხოლოდ იმ შემთხვევაში,თუ ისრაელი მთლიანად შეწყვეტს აგრესიას პალესტინელი ხლხის მიმართ და ოკუპირებული ტერიტორიებიდან საჯარისო დანაყოფებს გაიყვანს.ამასთანავე, ,,ჰამასის'' ხელმძღვანელებმა დააფიქსირეს თავიანთი პოზიცია 30 მაისს იერუსალიმში გამართული მოლაპარაკებების შესახებ. ,,ჰამასი'' ,მაჰმუდ აბასი და არიელ შარონის შეხვედრას სკეპტიკურად უყურებდა და მიიჩნევდა ,რომ ასეთი მოლაპარაკებები შედეგს ვერ მოიტანდა.[39]

მოლაპარაკებების თანამედროვე ეტაპი 2002 წლიდან იწყება, როდესაც კვარტეტმა – გაერო, აშშ, ევროპის კავშირი, რუსეთი – ,,საგზაო რუკა მშვიდობისათვის'' შექმნეს. გადაწყვეტილებას წინ დრამატული მოვლენები უსწრებდა, რამაც დიდწილად განაპირობა ამ დოკუმენტის შექმნა. 2002 წელს, ისრაელში მცხოვრებმა პალესტინელებმა, თვითმკვლელი ტერორისტების მეშვეობით სასტუმრო ნეთანიაში ე.წ. პასექის ჟლეტა მოაწყვეს. ტერორისტულ აქტს ისრაელმა დასავლეთ სანაპიროზე სამხედრო ოპერაციით – თავდაცვითი ფარი – უპასუხა, რომელმაც პალესტინის ადმინისტრაციული შენობების გაანადგურა, დაიკავა პალესტინის დასახლებული ტერიტორიები და ქალაქ რამალაში პალესტინის პრეზიდენტი იასირ არაფატი საკუთარ რეზიდენციაში ტყვეობაში მოაქცია.

,,საგზაო რუკა მშვიდობისთვის''ჯორჯ ბუში უმცროსის 2002 წლის სიტყვას დაეფუძნა. დოკუმენტის პირველი მონახაზი ევროპის კავშირმა გამოაქვეყნა, მას ამერიკული ვერსია

[39] ღირსიაშვილი ლ.პოლიტიკური კვლევის ცენტრი.ისრაელ-პალესტინის კონფლიქტი:ორი ერი,ერთი მიწა.2003წ. გვ.58-63

მალევე მოჰყვა, მაგრამ საბოლოოდ, მისი ჩამოყალიბებული ვარიანტი 2003 წლის 30 აპრილს გამოქვეყნდა.

2003 წლის ბოლოსთვის ვერცერთმა მხარემ საგზაო რუკით გათვალისწინებული ვალდებულებები ვერ შეასრულა: პალესტინური მხრიდან გაგრძელდა ტერორისტული თავდასხმები ისრაელის ტერიტორიაზე, ხოლო ისრაელმა არც პალესტინური ტერიტორიების დეოკუპაცია მოახდინა და არც უკანონო მშენებლობები შეუწყვეტია. ამით საგზაო რუკის პირველი ფაზა ჩიხში შევიდა.

მოლაპარაკებების მომდევნო ეტაპი 2007-09 წლებში მიმდინარეობდა, როდესაც მხარეები ყველაზე ახლოს იყვნენ კონკრეტული, ხელშესახები შედეგის მიღწევასთან. ამ პერიოდში ისრაელის პრემიერი ეჰუდ ოლმერტი და პალესტინის პრეზიდენტი მაჰმუდ აბასი 36-ჯერ შეხვდნენ ერთმანეთს. ოლმერტმა კონკრეტული გეგმა შესთავაზა პალესტინურ მხარეს. გეგმის მიხედვით, ისრაელის ჯარი დატოვებდა ოკუპირებულ პალესტინურ ტერიტორიებს და შეიქმნებოდა მუდმივი საზღვარი; ისრაელი საკუთარი ტერიტორიის 5.8%-ს ღაზას სექტორის მეზობლად, პალესტინურ 6.3% ტერიტორიაში გაცვლიდა; ისრაელის ჯარი დისლოცირებას გააგრძელებდა პალესტინურ ტერიტორიაზე; უკანონო დასახლებებში მცხოვრებთა 60% დარჩებოდა და გააგრძელებდა ცხოვრებას; იერუსალიმის სტატუს კვო შენარჩუნდებოდა – ებრაული ნაწილი ისრაელის, ხოლო პალესტინური ნაწილი პალესტინის სუვერენიტეტის ქვეშ დარჩებოდა. ამასთანავე, მხარეები ითანამშრომლებდნენ უსაფრთხოების, ბიზნესის, წყლის მიწოდების, საბანკო და ტურიზმის სფეროში. პალესტინურმა მხარემ ტერიტორიების გაცვლაში მეტი სიცხადის შეტანა მოითხოვა, რადგან ისრაელისთვის დასავლეთ სანაპიროს ტერიტორია სხვა პერიმეტრით განისაზღვრება და ოლმერტის შეთავაზებული 6.3% რეალურად, შესაძლოა 8.5% ყოფილიყო. მოლაპარაკებები საბოლოოდ ჩაიშალა – მხარეებმა კონტაქტის გაწყვეტაში ერთმანეთს დასდეს ბრალი.

ამ პერიოდში მნიშვნელოვანი პოლიტიკური ცვლილებები მოხდა თავად პალესტინაში. ქვეყნის ორი წამყვანი პოლიტიკური ძალა – ჰამასი და ფათჰი ერთმანეთს დაუპირისპირდნენ. ჰამასმა მოღვაწეობა ღაზას სექტორში, ხოლო ფათჰიმ დასავლეთ სანაპიროზე განაგრძო. ორივე ძალა საკუთარ თავს პალესტინელი ხალხის ნების გამომხატველად მიიჩნევდა. ჰამასსა და ისრაელს შორის დაპირისპირებამ ამ პერიოდში

კრიტიკულ ზღვარს მიაღწია. ეგვიპტემ შეძლო და 2008 წლის ივნისში მხარეები სამშვიდობო შეთანხმებაზე დაითანხმა, მაგრამ შეთანხმება ნახევარ წელიწადში დაირღვა. შედეგად 2008 წლის დეკემბერში ღაზას ომი დაიწყო.

2009 წელს აშშ-ში ადმინისტრაცია შეიცვალა. ახალმა პრეზიდენტმა ბარაკ ობამამ კაიროში სიტყვით გამოსვლისას მუსლიმი სამყაროს ინტერესების დაცვასა და რეგიონში მშვიდობის ხელშეწყობაზე დასვა აქცენტები [40]. მალევე იგი ისრაელის პრემიერ-მინისტრს ბენიამინ ნეთანიაჰუს შეხვდა. ობამას მხრიდან ორი-სახელმწიფოს იდეის ხაზგასმაზე, ნეთანიაჰუ სამომავლოდ, პალესტინური სახელმწიფოს აღიარებას გარკვეული პირობებით დათანხმდა. პირობები მოიცავდა პალესტინის მხრიდან ისრაელის, როგორც ებრაული სახელმწიფოს აღიარებას, პალესტინის სამომავლო დემილიტარიზაციას, უსაფრთხოების გარანტიების მიღებას, იერუსალიმის ისრაელის ადმინისტრირების ქვეშ გადასვლას და აქ პალესტინელი ლტოლვილების დაბრუნების მოთხოვნაზე უარის თქმას. ამასთანავე, ისრაელს უნდა დარჩენოდა უკანონო დასახლებების მშენებლობის უფლებაც. პალესტინურმა მხარემ მსგავსი მოთხოვნების შესრულება მაშინათვე უარყო.

ობამას ადმინისტრაციამ სამშვიდობო მოლაპარაკებების აღდგენა 2010 წლის შემოდგომაზე სცადა. სახელმწიფო მდივანი ჰილარი კლინტონი მხარეების პირისპირ შეხვედრას გეგმავდა, რათა საბოლოოდ შეთანხმებულიყვნენ ორი-სახელმწიფოს კონცეფციაზე და მხარეებს მისი აღსრულება დაეწყოთ. მაგრამ ჰამასისა და ლიბანური ჰეზბოლას მუქარებმა, რომ ისინი ძალადობრივ პოლიტიკას გააქტიურებდნენ, თუკი მხარეებს შორის რაიმე ტიპის შეთანხმება მიიღწეოდა, მოლაპარაკებები დაწყება სათავეშივე ჩაახშო.

სამშვიდობო მოლაპარაკებების ბოლო ეტაპი 2013 წელს სახელმწიფო მდივნის ჯონ კერის ინიცირებით განახლდა. მოლაპარაკებები ვაშინგტონში დაიწყო, სადაც ისრაელის მხარეს იუსტიციის მინისტრი ციპი ლივნი, ხოლო პალესტინურ მხარეს საებ ერეკათი წარმოადგენდა. მხარეებს შეთანხმების მიღწევამდე ვადა ჰქონდათ მიღწეული, მაგრამ ვადის ამოწურვის შემდეგ აშშ-ის სპეციალურმა წარმომადგენელმა მოლაპარაკებების პროცესში მარტინ ინდიკმა პროცესის ჩაშლაში ბრალი ისრაელის მხარეს დადო.

[40] იხ.ინფორმაცია old.itv.ge.projects>analytics

სახელმწიფო დეპარტამენტის განცხადებით მოლაპარაკებების ეფექტური წარმართვისთვის არცერთი მხარე პოზიტიურ ნაბიჯებს არ დგამდა. ისრაელსა და პალესტინას შორის სამშვიდობო მოლაპარაკებები მას შემდეგ შეწყვეტილია. მხარეებს შორის დაძაბული ურთიერთობა კვლავ ნარჩუნდება[41].

ისრაელი ომის ქარცეცხლში დაიბადა და დღემდე საომარ მდგომარეობაშია თავის ზოგიერთ მეზობელთან.ასევე მძიმე პირობებში მიმდინარეობს პალესტინის სახელმწიფოს წარმოშობის პროცესი.მაგრამ ამ პოტენციური სახელმწიფოს საზღვრების საკითხი ბუნდოვანებითაა მოცული.

ახლო აღმოსავლეთის კონფლიქტი მსოფლიოს მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა ყურადღების ცენტრშია მოქცეული,მეოცე საუკუნის შუა ხანებიდან.სინამდვილეში პრობლება წინა ათწლეულებშიც არსებობდა,მაგრამ მას სხვა,გლობალური მაშტაბით კიდევ უფრო ტრაგიკული მოვლენები ფარავდა,ყურადღება ამ პრობლემის მიმართ 21-ე საუკუნესაც გადმოჰყვა.

მსოფლიო მედიის ეს ყურადღება მოწმობს იმას,რომ ახლო აღმოსავლეთის მომცრო ქვერეგიონში რომელიც ტერიტორიულად მოიცავს ისრაელის სახელმწიფოს,მდინარე იორდანეს დასავლეთ ნაპირსა და ღაზას სექტორს ,რთული პოლიტიკური პროცესები მიმდინარეობს და გლობალური გეოპოლიტიკის თვალსაზრისით,იგი მეტად მნიშვნელოვანი ადგილია.

არც ერთი სახელმწიფო ახლო აღმოსავლეთში არ იბადება ისეთ მძიმე პირობებში,როგორც ისრაელი და არანაკლებ რთულ ვითარებაში იბადება პალესტინა. 21-ე საუკუნის დასაწყისშიც ტელეარხებზე მსოფლიო ხედავდა ისრაელში მომხდარ შემზარავ ,სისხლიან ტერორისტულ აქტებს და საპასუხოდ დასავლეთ ნაპირსა და ღაზას სექტორში განხორციელებულ მკაცრ სადამსჯელო ოპერაციებს[42].

---

[41] იხ.ინფორმაცია შოთა თხელიძე. https://1tv.ge/analytics/gadadebuli-mshvidoba-israel-palestinis-konfliqti/

[42] გაჩეჩილაძე რ.ახლო აღმოსავლეთი:სივრცე ხალხი და პოლიტიკა თბ. 2008.გვ423;424;

რაც შეეხება კონფლიქტის განვითარების ეტაპებს,მისი გაშუქება ხდება არა მარტო უცხოური არამედ ქართული მედია საშუალების მიერ,მისი აქტუალურობიდან გამომდინარე.

საქართველო- თბილისი 10 მარტი,2010 წელი.

ისრაელის საჰაერო იერიშის შედეგად 12-მდე პალესტინელი დაიღუპა,მათ შორის მაღალი რანგის ერთ-ერთი ლიდერიც იყო.ისლამისტური ,,ჰამასის'' წარმომადგენლები აცხადებენ,რომ ისრაელის საჰაერო დარტყმის შედეგას ,დაღუპილია მინიმუმ 9 ადამიანი.ისრაელის სამხედროები აცხადებენ,რომ საჰაერო იერიშები იმ თავდასხმის პასუხია,რომლის დროსაც ისრაელის ტერიტორიას პალესტინელებდა ათეულობით რაკეტა დაუშინეს.სიტუაციის ბოლო გამწვავების დროს გამოყენებულ იქნა 80 რაკეტა და დაიჭრა 8 ადამიანი.,ცახალის ძალებმა ღასის სექტორზე მიტანილი იერიშის დროს 12 ადამიანი მოკლეს,რომელთაგან 19 ტერორისტული ორგანიზაცია ,,ჯიჰადის''წევრები იყვნენ.[43]

ღაზას სქტორზე სამხედრო იერიშები განხორციელდა

საქართველო- თბილისი 07 მაისი,2010 წელი.

ისრაელის შეიარაღებული ძალების ცნობით,საჰაერო იერიში იქნა მიტანილი ღაზას სექტორში მდებარე ერთ-ერთ ქარხანასა და გვირაბზე,რომელიც ღაზას სექტორს ეგვიპტესთან აკავშირებს.ოპერაციის შედეგად დაახლოებით 7 ადამიანი დაშავდა.

ისრაელის ხელისუფლების წარმომადგენლობის თქმით,საჰაერო იერიში მას შემდეგ განხორციელდა ,რაც ღაზას სექტორიდან სამხრეთ ისრაელის მიმრთულებით ყუმბარა იქნა გასროლილი.ყუმბარის აფეთქებას ისრაელში მსხვერპლი არე მოჰყოლია.

საჰაერო იერიშამდე ერთი დღით ადრე ჰამასმა განაცხადა,რომ ღაზას სექტორში არსებულ პალესტინურ მეამბოხე დაჯგუფებებთნ ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმებას მიაღწიეს.ეს დაპირისპირება იმის ფონზე ხდება ,რომ ისრაელის პრეზიდენტმა შიმონ პერესმა გააკეთა განცხადება იმის შესახებ,რომ ღაზას სექტორში ებრაული დასახლების აშენება ,,გაპოლიტიკურებული'' საკითხია.პალესტინის პრეზიდენტის მაჰმუს აბასის

[43] იხ.ინფორმაცია www.tspress.ge

თქმით კი,სამშვიდობო მოლაპარაკების პროცესი არ განიხილება ისრაელის მიერ დასახლების მშენებლობის შეწყვეტამდე[44].

ღაზას სექტორში ჰამასის ლიდერი მოკლეს 15 ნოემბერი.2012 წელი

მდგომარეობის გამწვავების გამო ეგვიპტემ ისრაელიდან ელჩი გამოიძახა და გაეროს უშიშროების საბჭოს საგანგებო სხდომის მოწვევა მოითხოვა.

ისრაელის ოფიციალური წყაროების ცნობით,ღაზას სექტორში მიტანილი სარაკეტო იერიშის შედეგად მოკლული იქნა ჰამასის ერთ-ერთი ლიდერი.ისრაელი ჰამასისი დანარჩენ წევრებს მოუწოდებს უახლოეს დღეებში სამალავიდან გამოსვლა არ გაბედონ.

აჰმედ ალ-ჯაბარი,როდესაც ღაზაში მანქანით გადაადგილდებოდა მას ჭურვი დაეცა და მასთან ერთად მისი შვილიც დაიღუპა.პალესტინის მხარე იუწყება ,რომ შტევის შედეგად 7 ადამინი გარდაიცვალა და მათ შორის 2 ბავშვია.

ისრაელის პრემიერი ბენიამინ ნეთანიაჰუ აცხადებს,რომ ისრაელი ყველა ღონეს იხმარს,რომ საკუთარი მოქალაქეები დაიცვას,თუნდაც ამას ღაზას სექტორში ოპერაციის გაღრმავება დაჭირდეს.როგორც ცნობილია ჰამასის დაჯგუფება ისრაელზე სარაკეტო იერიშებს აგრძელებს.ჰამასის განცხადებით ,,ოკუპაცია ჯოჯოხეთის კარიბჭე გააღო''.ეგვიპტემ,რომელსაც ღაზას სექტორთან,საერთო სზღვარი აქვს,ისრაელიდან ელჩი სასწრაფოდ გამოიძახადა გაწეროს უშიშროების საბჭოს საგანგებო სხდომის მოწვევა მოითხოვა[45].

ისრაელმა ღაზას სექტორში სახმელეთო ოპერაცია დაიწყო 18 ივლისი,2014 წელი

ათდღიანი საჰაერო იერიშების შემდეგ, ისრაელმა ღაზას სექტორში სახმელეთო ოპერაცია დაიწყო.

---

[44] s://www.amerikiskhma.com/a/a-54-2009-11-22-voa5-93126349/525791.htm

[45] https://www.amerikiskhma.com/a/israeli-stikes-kill-hamas-leader/1546467.html

”როიტერის” თანახმად, სახმელეთო ოპერაცია შეზღუდული იქნება და სამიზნე შეირაღებული მერბძოლების მიერ შექმნილი გვირაბები იქნება. ისრაელის მხარის განცხადებით, ოპერაციის მიზანს ”ჰამასის” დამხობა არ წარმოადგენს. ქვეყნის პრემიერ-მინისტრის ბენიამინ ნეთანიაჰუს განცხადებაში საუბარია, რომ მან გვირაბების განადგურების ბრძანება გასცა, საიდანაც შეიარაღებული მებრძოლები ისრაელზე ახორციელებენ იერიშებს.

სახმელეთო ოპერაციის დაწყებას გარკვეული მომზადებები უძღოდა წინ. ღაზას სექტორის საჯაჰიასა და ბეით-ლაჰიას მოსახლეობა გააფრთხილეს საკუთარი სახლები დაეტოვებინათ. პარალელურად სექტორის ზოგიერთ რაიონს შეუწყდა ელექტროენერგიის მიწოდება.

სახმელეთოს ოპერაციის დაწყებამდე ისრაელმა ორჯერ შეწყვიტა ცეცხლი. პირველად სამშაბათს, როდესაც ისრაელის არმიამ 6 საათის განმავლობაში შეწყვიტა საჰაერო იერიშებს განხორციელება და მეორედ ხუთშაბათს, როდესაც იერუსალიმმა გაეროს წარმომადგენლების თხოვნა დააკმაყოფილა, რათა ღაზას სექტორის მოსახლეობისათვის ჰუმანიტარული დახმარება მიეწოდებინათ.

თუმცა, ორივე შემთხვევაში ისრაელის ქალაქებზე სარაკეტო იერიში მაინც ხორციელდებოდა:”ჰამასმა გაეროს მიერ ინიცირებული ჰუმანიტარული ცეცხლის შეწყვეტის პირობებიც დაარღვია და ამ დროსაც განაგრძობდა ისრაელზე იერიშის მიტანას. ”ჰამასის” აგრესიის მოსაგერიებლად და ისრაელის ტერიტორიაზე ტერორისტების შეჭრის თავიდან ასაცილებლად, ჩვენ ვალდებულები ვართ საკუთარი მოქალაქეების დაცვისათვის ვიმოქმედოთ,”-განაცხადა ნეთანიჰუმ.

როგორც ცნობილია, რამდენიმე დღის წინ ისრაელისა და პალესტინის დაზავება ეგვიპტემ სცადა. ”ბი-ბი-სი”-ს წყაროს ცნობით, მხარეები შეთანხმებამდე ძალიან ახლოს იყვნენ. ისრაელი ”ჰამასის” მიერ სარაკეტო იერიშების სრულ შეწყვეტას მოითხოვდა, ”ჰამასს” თავის მხრივ სექტორისათვის ეკონომიკური ბლოკადის მოხსნა სურდა. ეგვიპტის მიერ ინიცირებულ მოლაპარაკებებში ისრაელის მხარეს უსაფრთხოების სამსახურის უფროსი იორამ კოენი წარმოდგენდა. ისრაელმა მოთხოვნების სიას კიდევ

რამდენიმე პუნქტი დაამატა: უნდა მომხარიყო ღაზას დემილიტარიზაცია და ეგვიპტესა და ღაზას შორის სასაზღვრო-გამშვებ პუნქტზე მუდმივად უნდა ყოფილიყვნენ საერთაშორისო დამკვირვებლებლი. ხუთშაბათს, კოენმა ისრაელს განუცხადა, რომ "ჰამასმა" ეს მოთხოვნები უარყო.

ისრაელსა და პალესტინას შორის ურთიერთობის გამწვავება ისრაელელი და პალესტინელი ახალგაზრდების მკვლელობას მოჰყვა. გასულ თვეში დასავლეთ ნაპირზე სამი ისრაელელი მოზარდი იქნა მოკლული, სავარაუდოდ აღნიშნულზე შურისძიების გამო 2 ივლისს პალესტინელი მოზარდი გაიტაცეს, რომელიც რამდენიმე საათში მოკული იპოვეს.

პალესტინის მხარის განცხადებით, ათი დღის განმავლობაში ისრაელის მიერ განხორციელებულ საჰაერო იერიშებს 238 პალესტინელი ემსხვერპლა; პალესტინის სარაკეტო იერიშების შედეგად ისრაელის ერთი მოქალაქე გარდაიცვალა და ათობით-დაშავდა[46].

სამშაბათი,29 ივლისი,2014

პალესტინური ჯანდაცვის სექტორის წარმომადგენლის ცნობით, მხოლოდ 29 ივლისის მონაცემებით ბრძოლის შედეგად 1 დღეში 100 პალესტინელი დაიღუპა, - წერს Associated Press.

NBC News-ის თანახმად, 29 ივლისს ისრაელმა 70-მდე სამხედრო შეტევა განახორციელა. დაიბომბა ღაზის სექტორში მდებარე ერთადერთი ელექტროსადგური, რომელიც 1.8-მილიონიან მოსახლეობას ამარაგებდა ელექტროენერგიით.

ბოლო სამი კვირის განმავლობაში დაღუპულ პალესტინელთა რიცხვმა ღაზის სექტორში ბრძოლების შედეგად 1 100-ს მიაღწია. ისრაელის მხარეს დანაკარგი 56 ადამიანია, აქედან 3 სამოქალაქო პირი, დანარჩენი - სამხედრო[47].

---

[46] http://24blog.ge/news/story/43479-israelma-ghazas-seqtorshi-sakhmeleto-operatsia-daitsyo

[47] http://www.tabula.ge/ge/story/86282-ap-29-ivlisis-saomari-qmedebebis-shedegad-daghupulia-100-palestineli

ისრაელი-ღაზას საზღვარზე ფაქტების გამოსაძიებლად გაერო-ს ადამიანის უფლებათა საბჭომ კომისია შექმნა.

ორშაბათი ,14 მაისი 2018

ღაზას სექტორში ისრაელის სამხედრო ძალებსა და პალესტინელ მომიტინგეებს შორის დაპირისპირებისას 28 პალესტინელი დაიღუპა. ისრაელის სამხედრო ძალების განცხადებით დაღუპულთაგან 3 შეიარაღებული ამბოხებული იყო, რომლებიც საზღვარზე ასაფეთქებელი მოწყობილობების დამონტაჟებას ცდილობდნენ.

დაშავდა 900-მდე ადამიანი, მათ შორის 450-ს ცეცხლსასროლი იარაღით მიყენებული ჭრილობები აქვს.

შეგახსენებთ, რომ ღაზას სექტორში პალესტინელები იერუსალიმში აშშ-ის საელჩოს გასხნას აპროტესტებენ. ისრაელის სამხედრო ძალებმა სექტორის ტერიტორიაზე ბროშურები ჩამოყარეს, რომელიც პალესტინელებს აფრთხილებს არ იქცნენ ჰამასის იარაღად და არ მიუახლოვნენ ღაზას სექტორსა და ისრაელს შორის დაზიანებულ საზღვარს.

დონალდ ტრამპმა იერუსალიმი ისრაელის დედაქალაქად გასული წლის 6 დეკემბერს აღიარა ანუ 2017 წელს და განაცხადა, რომ აშშ საელჩოს თელ-ავივიდან იერუსალიმში გადაიტანს.

პალესტინის ეროვნული ადმინისტრაციის პრეზიდენტმა, მაჰმუდ აბასმა ტრამპის გადაწყვეტილებას ,,საუკუნის სილის გაწნა" უწოდა.

მარტის შემდეგ ღაზას სექტორთან პალესტინელებსა და ისრაელის არმიას შორის შეტაკებების შედეგად 73 პალესტინელი დაიღუპა. გაეროს ადამიანის უფლებათა დამცველები, ისრაელს ძალის გადამეტებაში ადანაშაულებენ. ისრაელის არმიის განცხადებით ღაზას სექტორში მომხდარზე სრული პასუხისმგებლობა ჰამასს ეკისრება[48]

---

[48] http://www.tabula.ge/ge/story/132688-ghazas-seqtorshi-israelis-armiastan-dapirispirebisas-28-palestineli-daighupa

ისრაელი-ღაზას საზღვარზე ფაქტების გამოსაძიებლად გაერო-ს ადამიანის უფლებათა საბჭომ კომისია შექმნა.
20:16, 18.05.2018 -

საბჭოს 29 წევრმა სახელმწიფომ კომისიის შექმნას მხარი დაუჭირა,15-მა თავი შეოიკავა.კომისიის შექმნის წინააღმდეგ მხოლოს აშშ და ავსტია წავიდნენ.თელევიზში ამბობენ რომ,ისრაელი გამოძიებასთან არ ითანამშრომლებს,საგამოძიებო კომისიის შექმნა კი რადიკალურ ტერორისტულ ორგანიზაცია ,,ჰამასს''წაახალისებს.

ადამიანის უფლებათა საკითხებში გაერო-ს უმაღლესმა კომისიამ განაცხადა,რომ სასაზღვრო ზონაში პალესტინელების აქციების საპასუხოდ,ისრაელმა არაპროპორციული ძალა გამოიყენა.

ადამიანის უფლებათა საკითხებში გაერო-ს უმაღლესმა კომისიამ განაცხადა,რომ ისრაელ-ღაზას საზღვარზე პალესტინელები ე.წ. დაბრუნების მარშს 30 მარტის შემდეგ მართავენ.14 მაისს მასობრივ აქციაზე ისრაელის სამხედროების სროლის შედეგად 62 პალესტინელი საიღუპა.ისრაელში აცხადებენ,რომ პალესტინელები საზღვრის გარღვევას ცდილობენ,არმია კი საზღვარს იცავს[49].

გაერო გმობს ისრაელ-ღაზას საზღვარზე განვითარებულ მოვლენებს და ისრაელის არმიის მიერ პალესტინელი .

14 ივლისი 2018,

ისრაელმა 2014 წლის შემდეგ ღაზის სექტორზე ყველაზე მაშტაბური ავიაიერიში განახორციელა,ქალაქ ღაზაზე სახლსა და ერთ-ერთ მოედანზე ავიადარტყმის დროს 2 პალესტინელი დაიღუპა და 14 დაშავდა.ინფორმაციას BBC ავრცელებს.საცხოვრებელ სახლსა და მოედანზე ავიადარტყმის შესახებ ისრაელს კომენტარი არ

[49] https://1tv.ge/news/israel-ghazas-sazghvarze-faqtebis-gamosadzieblad-gaero-s-adamianis-uflebata-sabchom-komisia-sheqmna/

გაუკეთების.სამხედრო შტაბი აცხადებს,რომ ისინი დარტყმებს უშუალოდ სამხედრო სამიზნეებზე ახორციელებენ,სადაც სამოქალაქო პირები არ არიან.[50]

21 ივლისი 2018

ისრაელმა ღაზას სექტორში მორიგი ავიაიერიში განახორციელა.ამ ნაბიჯით ისრაელმა ,,ჰამასის'' მხრიდან ებრაული სამხედროების წინააღმდეგ განხორციელებული სარაკეტო დარტყმებს უპასუხა.ავიაიერიშს 4 პალესტინელი ემსხვერპლა,აქედან 4 ,,ჰამასის''წევრი იყო[51].

ხუთშაბათი,9 აგვისტო 2018

ღაზას სექტორის ტერიტორიიდან ისრაელის მიმართულებით რაკეტების გაშვების შემდეგ ისრაელმა საჰაერო დარტყმები განახორციელა.

ისრაელის თავდაცვის ძალების განცხადების მიხედვით საჰაერო დარტყმებმა მიზანში 140 სტრატეგიული ადგილი ამოიღო, მათ შორის იარაღის დამზადებისა და შენახვისათვის განკუთვნილი დაწესებულებები.

ამავე განცხადების მიხედვით ღაზას სექტორიდან 150 რაკეტა გაისროლეს.

ჰამასის სამხედრო ფრთა ადასტურებს, რომ ისრაელის მიმართულებით რაკეტები მათ გაისროლეს.

ისრაელის მედიის მიხედვით დაშავდა ისრაელის რამდენიმე მოქალაქე, თუმცა მსხვერპლი არ არის.

ისრაელის საჰაერო თავდასხმის შედეგად დაიღუპა 3 პალესტინელი: ორსული ქალი, მისი ერთი წლის ქალიშვილი და ჰამასის ერთი მებრძოლი.

ახლო აღმოსავლეთში გაეროს დესპანმა, ნიკოლაი მლადენოვმა ჰამასის ქმედება დაგმო და ორივე მხარეს მოუწოდა თავიდან აირიდონ სიტუაციის ესკალაცია.

[50] იხ.ინფორმაცია.imedinews.ge
[51] იხ.ინფორმაცია.imedinews.ge

შეგახსენებთ, რომ რამდენიმე დღის წინ ჰამასის წარმომადგენლები ღაზას სექტორში ეგვიპტისა და გაეროს მიერ შეთავაზებულ ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმებას განიხილავდნენ[52].

ოთხშაბათი,14 ნოემბერი,2018

ისრაელის თავდაცვის მინისტრი, ავიგდორ ლიბერმანი უშიშროების კაბინეტის მიერ ღაზაში პალესტინურ სამხედრო დაჯგუფებებთან ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმების გადაწყვეტილების მიღების გამო თანამდებობიდან გადადგა.

პარტია "ისრაელი - ჩვენი სახლი"-ს ლიდერის თქმით ეს ნაბიჯი "ტერორიზმის წინაშე დანებებაა." ლიბერმანი ჰამასთან ხანგრძლივი შეთანხმების მიღწევის მცდელობებსაც აკრიტიკებს.

შეგახსენებთ, რომ უკანასკნელი ორი დღის მანძილზე ღაზას სექტორიდან ისრაელის მიმართულებით 460 რაკეტა გაისროლეს, ხოლო საპასუხოდ ისრაელმა ღაზას სექტორში 160 სამიზნე დაბომბა. დაბომბვები მას შემდეგ განახლდა, რაც კვირას ღაზას სექტორში ისრაელის სამხედრო ძალების ოპერაციის შედეგად 8 ადამიანი დაიღუპა, მათ შორის ჰამასის წევრი 7 პალესტინელი და ისრაელის ძალების ერთი ლეიტენანტი.

ამის შემდეგ ჰამასმა გამოაცხადა, რომ მზადაა დათანხმდეს ეგვიპტის შუამავლობით მიღწეულ ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმებას, თუ ამას ისრაელიც გააკეთებს. ისრაელის უშიშროების კაბინეტმა თავდაპირველად თქვა, რომ სამხედრო ოპერაციები საჭიროებისამებრ გაგრძელდებოდა, თუმცა უკანასკნელი ინფორმაციით შეთანხმების მიღებას დათანხმდა[53].

სამშაბათი 26 მარტი,2019

---

[52] http://www.tabula.ge/ge/story/135657-israelma-ghazas-seqtorze-sahaero-tavdasxma-ganaxorciela-daighupa-3-adamiani

[53] http://www.tabula.ge/ge/story/135657-israelma-ghazas-seqtorze-sahaero-tavdasxma-ganaxorciela-daighupa-3-adamiani

ისრაელმა ღაზასსექტორიდან გასროლილი რაკეტების საპასუხოდ საჰაერო დარტყმები განახორციელა,დარტყმების შედეგად 7 ადამიანი დაშავდა.

ისრაელის თვდაცვის ძალების მიხედვით მათ ღაზას სექტორის ჩრდილოეთ ნაწილში 15 საჰაერო დარტყმა განახორციელეს,რასაც წინ უძღოდა ისრაელის მიმართულებითამ ტერიტორიიდან 30-მდე რაკეტის გასროლა.ნაწილი ისრაელის ანტი-სარაკეტო სისტემამ ჩამოაგდო,ნაწილი კი დაუსახლებელ ადგილას ჩამოვარდა,შესაბამისად მსხვერპლი არ მოჰყვა.

შეგახსენებთ,რომ ღაზას სექტორიდან ისრაელის მიმართულებითგასროლილი რაკეტა თელ ავივთან 20 კილომეტრში ერთ-ერთ სახლს დაეცა დაშავდა 7 ადამიანი ,მათ შორის 3 ბავშვი[54].

ორშაბათი, 6 მაისი, 2019 - 11:17

ღაზას სექტორთან დაპირისპირება პარასკევს დაიწყო, როდესაც პალესტინელები ბლოკადას აპროტესტებდნენ. ისრაელის თქმით ბლოკადა სექტორში იარაღის შეღწევის შესაჩერებლად არის საჭირო. შეიარაღებულმა პალესტინელმა ისრაელის ორი სამხედრო დაჭრა. ისრაელმა საპასუხოდ საჰაერო თავდასხმა განახორციელა, რომლის დროსაც ორი პალესტინელი მებრძოლი მოკვდა. ღაზას სექტორიდან რაკეტების გაშვება შაბათს დაიწყო. მათი ნაწილი ისრაელის ტერიტორიაზე სახლებს დაეცა.

ისრაელის სამხედრი ძალების თქმით უკანასკნელი 48 საათის განმავლობაში ღაზას სექტორიდან ისრაელის მიმართულებით 690 რაკეტა გაისროლეს, რომელთაგან 240 ქვეყნის ანტი-სარაკეტო სისტემამ ჩამოაგდო. საპასუხოდ ისრაელმა ჰამასის და ისლამური ჯიჰადის სამიზნეების მიმართულებით 350 რაკეტა გაისროლა.

შედეგად დაიღუპა ისრაელის 4 მოქალაქე და 23 პალესტინელი. დაჯგუფება ისლამური ჯიჰადის თქმით დაღუპულთაგან 7 მათი წევრი იყო.

ისრაელმა ღაზას სექტორიდან 40 კილომეტრში არსებული სკოლები დახურა და თავშესაფრები გახსნა.

[54] იხ ინფორმაცია www.tabula.ge

2014 წლის ივლისსა და აგვისტოში განვითარებული კონფლიქტის შემდეგ ეს ყველაზე დიდი დაპირისპირებაა.

ჰამასის ტელევიზიის თქმით ეგვიპტის შუამავლობით და გაეროსა და კატარის დახმარებით ისრაელთან ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმებას მიაღწიეს, რის შედეგადაც სარაკეტო დარტყმები შეწყდა. [55]

3.3 კონფლიქტის შედეგები:ებრაული ახალშენები და პალესტინელი ლტოლვილები

ებრაული ახალშენები

1967 წლის შემდეგ, როდესაც ,,ექვსდღიანი ომის''შედეგად ისრაელმა კონტროლი დაუწესა მთელი ,,სამანდატო პალესტინის'' ტერიტორიას და დაიპყრო გოლანის მაღლობი,თითქმის დაუყონებლივ დაიწყო ამ ტერიტორიების მიზანმიმართული ათვისება ებრაული მოახალშენეების მიერ.დასავლეთ რაინზე და ღაზას სექტორში 4500 მოახალშენე ცხოვრობდა.ამის შემდეგ ახალშენების მშენებლობა მკვეთრად დაჩქარდა ,ვინაიდან ნაციონალისტური და რელიგიური პარტიები დაუფარავად უჭერდნენ მათ ზრდას მხარს.ახალშენების გაფართოება არ შეწყვეტილა მაშინაც კი,როდესაც 1993 წელს ვაშინგტონში ხელმოწერილ იქნა შეთანხმება პალესტინელებთან.1993-2002 წლებში მოახალშენეთა რაოდენობა 125 დან 218 ათასამდე გაიზარდა .დასავლეთ ნაპირსა და ღაზას სექტორის ებრაული მოსახლეობა საშუალოდ ორჯერ უფრო სწრაფად იზრდებოდა,ვიდრე საკუთარ ისრაელში[56].

ღაზას სექტორის ტერიტორიის 365 კვ.კმ ანუ 25% 8 ათას ებრაულ მოახალშენეს ეკავა,10-15% ისრაელის არმიის საჭიროებას ხმარდებოდა ,ხოლო დანარჩენ ფართობზე,დაახლოებით 220 კვადრატულ კილომეტრზე ,1.3 მილიონი პალესტინელი

[55] http://www.tabula.ge/ge/story/148241-hamasis-tqmit-egviptis-shuamavlobit-israeltan-cecxlis-shetskvetis-shetanxmeba

[56] გაჩეჩილაძე რ.ახლო აღმოსავლეთი:სივრცე ხალხი და პოლიტიკა თბ. 2008.გვ479

ცხოვრობდა ეს ახალშენები 2005 წელს იქნა ევაკუირებული. ,,დასავლეთ ნაპირე''შექმნილია 120-მდე ებრაული ახალშენები[57].

2002 წელს 175 ათასი ებრაელი ცხოვრობდა იმ ტერიტირიაზე ,რომელიც 1967 წელს ანექსირებული იქნა ისრაელის მუნიციპალური საზღვრების გასაფართოებლად,რომელთაც შედარებით იშვიათად მოიხსენიებენ ხოლმე ,,ოკუპირებულ ტერიტორიებს''შორის.

საერთაშორისო ორგანიზაციებს მიაჩნიათ,რომ ჟენევის მეოთხე კონვენციის 49-ე მუხლი ,,ოკუპანტმა სახელმწიფომ არ უნდა მოახდინოს საკუთარი სამოქალაქო მოსახლეობის ჩასახლება იმ ტერიტორიაზე,რომლის ოკუპირებაც მან მოახდინა'' ვრცელდება ისრაელის მიერ ანექსირებულ აღმოსავლეთ იერუსალიმსა და გოლანის მაღლობზე და ოკუპირებულ დასავლეთ ნაპირსა და ღაზის სექტორზე.

ისრაელის ოფიციალური კონტრარგუმენტი,არის ის,რომ დასავლეთ ნაპირი და ღაზის სექტორი ოკუპირებული კი არა,არამედ სადავო ტერიტორიებია.(SHARON 2002)ისრაელის აზრით,საერთაშორისო კონვენციები ,რომლებიც ოკუპირებულ მიწას ეხება არ მიესადაგება პალესტინურ ტერიტორიებს:1967 წელს ისინი არ იყო რომელიმე ქვეყნის ლეგიტიმური სუვერენიტეტის ქვეშ,ხოლო იორდანიამ 1950 წელს დასავლეთ ნაპირის ანექსირება ცალმხრივად მოახდინა და ეს აქთი არ იყო საერთაშორისო დონეზე აღიარებული.ეს კონტრარგუმენტი ვერ ფარავს გოლანის მაღლობს,რომელიც 1967 წლამდე სირიის სუვენერულ მფლობელობაში იყო.

ძირითადი იდეოლოგიური არგუმენტი ,,დასავლეთ ნაპირზე''ებრაული ახალშენების შექმნისათვის იყო და არის,ის,რომ იქ ჩასახლებული,უპირატესად რელუგიური ებრაელების,ოჯახები ამ ტერიტორიას ისტორიულ იუდეასა და სამარიას,მიიჩნევენ იაჰოვეს მიერ ისრაელის შვილებისათვის აღთქმულ მიწად.ღაზას სექტორში ეს რელიგიური არგუმენტი სუსტად ვლინდება და მესიანურ ახსნას პრაგმატული არგუმენტაცია სჭარბობს.ამიტომაც ღაზას სექტორის დაცლას 2005 წელს ისრაელის მოსახლეობის სისმა უმრავლესობამ მხარი დაუჭირა.

[57] იქვე.გვ.480

შეიძლება დავუშვათ,რომ თავდაპირველად 1967 წელს ისრაელის იმდროინდელმა მთავრობამ წამოიწყო ებრაული ახალშენების მშენებლობა იმ მიზნითაც,რომ ,,გასაცვლელი საგანი'' ჰქონდა იმ შემთხვევისთვისაც ,რთული საერთაშორისო საზოგადოების ზეწოლის შედეგად აუცილებელი გახდებოდა პალესტინის სახელმწიფოს შექმნა და ტერიტორიული მოწესრიგება.

მაგრამ მოახალშენეებს,რომელთაგან ზოგიერთი იქ უკვე მესამედ საუკუნეზე მეტია ცხოვრობს,ამ მიწაზე,რომელსაც ისინი ისტორიულ სამშობლოდ მიიჩნევენ,გაუჩნდათ შვილები და შვილიშვილები.მათ სულაც არ უნდათ ,,გასაცვლელ საგნად'' ქცევა.ისინი საკმაოდ მრავალრიცხოვანნიც არიან და კარგად შეიარაღებულნი საიმისოდ,რომ სერიოზული წინააღმდეგობა გასწიონ ,თუ ისრაელის მთავრობა იძულებული გახდება მიმართოს ძალას მათი გაყვანისათვის.ასეთი ,,სამოქალაქო ომის'' საფრთხე ისრაელის მთავრობისათვის დამატებითი არგუმენტია ახალშენების დიდი ნაწილის შესანარუნებლად.ქალაქებში:მაალე ადუმიმი,არიელი,გივათ ზეევი,კირიათ სეფერი,ბეიტარ ილითი,კარნე შომრონი,ეფრათა, რპმლების ,,დასავლეთ ნაპირზეა ''გაშენებული ,თითოეულში 5-30 ათასი ადამიანი ცხოვრობს.

2005 წელს აგვისტოში ისრაელის პრაგმატულად მოაზროვნე პრემიე-მინისტრის არიელ შარონის ინიციატივითა და ზეწოლით,რაც გულისხმობდა ნაციონალისტურ-რელიგიური წრეების წინააღმდეგობის დაძლევას და თვით შარონის მშობლიურ პარტია ,,ლიქუდ''-ში განხეთქილების შეტანას,მოხერხდა ღაზას სექტორში მცხოვრები 8 ათასამდე მოახალშენოს გამოვანა ღაზას სექტორიდან.გამოსვლა ღაზას სექტორიდან,რომელიც ბიბლიური ტრადიციის მიხედვით სულაც არ იყო ,,აღთქმული მიწა'' და სადაც პირველი ებრაელი მხოლოდ XX საუკუნის მეორე ნახევარში დასახლდა,ისრაელში მძაფრი პოლიტიკური დაპირისპირების მიზეზი გახდა.საქმე ისაა რომ ღაზას სექტორის დატოვების ინიციატორი იყო არიელ შარონი,რომელიც 20-30 წლით ადრე თვითონ იყო ღაზაში ებრაული ახალშენების დაარსების ინიციატორი და მხარდამჭერი.საბოლოოდ კი შარონი და მასთან ერთად საღად მოაზროვნე ისრაელის პოლიტიკოსები მიხვდნენ,რომ ქვიშიან დიუნებზე დასახლებული 8 ათასამდე ებრაელის დაცვა 1,3 მილიონი ღაზელი არაბისაგან ისრაელის სახელმწიფოსა და მის

არმიას მეტისმეტად ძვირი უჯდებოდა. მემარჯვენე-ნაციონალისტური პარტიები ღაზიდან გამოსვლას ,,ღალატად'' აფასებდნენ.ისრაელის პრაგმატულად განწყობილმა პილიტიკოსებმა გამოთვალეს,რომ უმჯობესია ღაზიდან გასვლა ,მსოფლიოს თვალში,,მშვიდობისმოყვარე და სამართლიანი აქციის''მოხდენა.სანაცვლოდ კი ოკუპირებულ ,,დასავლეთ ნაპირზე'' უფრო დიდი და სიცოცხლისუნარიანი ებრაული ახალშენების შენარჩუნება.ამ ახალშენების ირგვლივ უკვე შენდებოდა მაღალი კედელი .რომელიც ფაქტობრივად ახალ საზღვარს ქმნიდა ისრაელსა და პალესტინის მომავალ სახელმწიფოს შორის.

2002 წლის ივლისში დაიწყო ,, უშიშროების ღობის'' ფაქტობრივად კედლის მშენებლობა ოფიცილურად -,,ოკუპირებული ტერიტორიებიდან ტერირისტების შემოსვლის აღსაკვეთად''.პალესტინელებისაგან სრული განცალკევების მისაღწევად 720 კილომეტრზე მეტი სიგრძის კედლის მშენებლოდა დაიწყო,რომლის ნახევარი 2008 წლისთვის უკვე დასრულებული იყო.კედლის ჩრდილოეთ და სამხრეთ-დასავლეთ პერიმეტრის საგრძნობი ნაწილი ,,მწვანე ხაზს'' მისდევს.მაგრამ ბევრ მონაკვეთზე,განსაკუთრებით იერუსალიმის გარშემო ,კედელი შეჭრილია ამ ხაზის მიღმა,მომავალი პალესტინის სახელმწიფოს ტერიტორიაზე,ზოგან 24 კილომეტრის სიგრძეზეც კი,და ,,დასავლეთ ნაპირის'' ფართობის დაახლოებით 10 % პალესტინელებისათვის მიუღწეველს ხდის:ამ მიწაზე აშენებულ მსხვილ ებრაულ ახალშენებს ან მათ ბლოკებს ,,უშიშროების ღობე'' ისრაელის მხარეს ტოვებს (Finkel 2007).კედელო მთლიანად არაბების კუთვნილი მიწის ხარჯზე შენდება.ბევრ არაბულ სოფელს კედელი აცალკევებს საკუთარ კუთვნილ მიწასთან როგორიცაა სახნავ-სათესი.ეჭვგარეშეა ,რომ ასეთი ძვირადღირებული საინჟინრო ნაგებობა არ შეიძლება ასრულებდეს მხოლოდ დროებით ფუნქციას.როგორც ჩანს ,ისრაელი ამ კედელს მომავალში პოლიტიკური საზღვრის ფუნქციას დააკისრებს.

პალესტინური მხარეც ხვდება,რომ ამ საინჟინრო ნაგებობის მეშვეობით ,რომელიც ის ,,საოკუპაციო კედელს'' უწოდებს,ხდება მომავალი პოლიტიკური გამიჯვნისათვის ,,ტერიტორიული ფაქტის''დაფიქსირება.ეს კედელი მის მიღმა დარჩენილი

მოახალშენეების არანაკლებ აღშფოთებას იწვევს,ვიდრე პალესტინელებისა:მოახალშენეები მიიჩნევენ,რომ ,,მათ უღალატეს და მიატოვეს''[58].

პალესტინელი ლტოლვილები

1948 წლის ისრაელის წარმატებას არაბულ ქვეყნებთან ომში მოჰყვა ადგილობრივი მოსახლეობის მასობრივი განდევნა .ლტოლვილად იქცა ასეულობით ათასი კაცი.მათი რაოდენობრივი შეფასება სხვადასხვაა:ისრაელი მიიჩნევს რომ ლტოლვილად იქცა 538 ათასი ადამიანი,პალესტინელები ასახელებენ 850 ათასს,გაეროს შეფასებაა 720 ათასი.პალესტინის არაბული მოსახლეობის საგრძნობი ნაწილი უკან მიყვა უკანასკნელ არაბულ არმიებს ,როგორც მალე გაირკვა ,ფუჭი იმედით,რომ ცოტა ხანში დაუბრუნდებოდნენ საკუთარ სახლებს.სამწუხაროდ ამ ხალხს აღარ მიეცათ უკან დაბრუნების საშუალება:ისრაელის არმია ეფექტურად იცავდა ახალი სახელმწიფოს ტერიტორიას არაბი ,,ინფლიტატორებისაგან''.ებრაელებისათვის ნათელი იყო,რომ ლტოლვილი არაბების მასობრივი დაბრუნება,მათთვის დამახასიათებელი მაღალი შობადობის გათვალისწინებით,შეცვლიდა ისრაელის დემოგრაფიულ სტრუქტურას.

ბევრი პალესტინელი არაბი გაიქცა 1949 წლის დაზავებით ეგვიპტის კონტროლქვეშ მოქცეულ ღაზას სექტორში, იორდანიის მიერ ანექსირებულ დასავლეთ ნაპირსა და აღმოსავლეთ იერუსალიმში.მუსლიმი არაბების უკან დაბრუნების მცდელობას ებრაული სახელმწიფო ყველანაირად აღკვეთდა,აღსანიშნავია, რომ ისრაელის ხელისუფლება ნაკლებ საშიშად მიიჩნევდა ქრისტიან არაბებს.

საქმე ისაა რომ პალესტინელი ლტოლვილების შთამომავლობა ამჟამად ოთხჯერ და მეტად აღემატება იმ რაოდენობას ,რომლებმაც დატოვა საკუთარი სახლები პალესტინაში.მათი საერთო რაოდენობა 21-ე საუკუნეში შეფასებულია ,როგორც 3.9 მილიონი[59].

პალესტინელი ლტოლვილები ახლო აღმოსავლეთში(ათასი).წყარო ha*aretz,may 14,2002

[58] გაჩეჩილაძე რ.ახლო აღმოსავლეთი:სივრცე ხალხი და პოლიტიკა თბ. 2008.გვ479- 486
[59] გაჩეჩილაძე რ.ახლო აღმოსავლეთი:სივრცე ხალხი და პოლიტიკა თბ. 2008.გვ474;475;478

ტერიტორია	დას.ნაპ	ღაზას სექტ.	იორდანია	სირია	ლიბანი	სულ
რეგისტრირებ. ლტოლვილი	608	853	1640	392	383	3875
წილი (%)მთელ მოსახლეობაში	31	81	34	3	11	-
ლტოლვილთა ბანაკების რაოდენობა	19	8	10	10	12	59
ბანაკებში ლტოლვილების რაოდენობა და (%)	163 (27)	460 (54)	288 (18)	109 (28)	215 (56)	1235 (32)
ბანაკს გარეთ ლტოლვილთ რაოდენობა და (%)	445 (73)	393 (46)	1352 (82)	282 (72)	168 (44)	2640 (68)

3.4 კონფლიქტის დარეგულირების სამართლებრივი მხარე

პალესტინა -ისრაელის კონფლიქტის რეგულირება ხდება,არაერთი საერთაშორისო ორგანიზაციების ჩართულობით,მათ შორისაა გაერო და ევროკავშირი.

აღნიშნული პრობლემის მიმართ მიღებულ იქნა:რეზოლუციები,დადგენილებები,შეთანხმებები,მოწვეულ იქნა კონფერენციები და სამშვიდობო მოლაპარაკებების რიგი ჩამონათვალი პრობლემის მშვიდობიანი მოგვარებისათვის.

კონფლიქტის სამართლებრივი დარეგულირების გზები და ხერხები ასახულია ,პალესტინა-ისრაელის შეთანხმებებსა და ხელშეკრულებებში.აღნიშნულოს მიეკუთვნება:

- გაეროს 1947 წლის 181-ე რეზოლუცია;
- 1950 წლის არაბული ქვეყნების ლიგის თათბირი;
- 1964 წლის ეროვნული საბჭოს სესია;
- 1967 წლის 242/338-ე რეზოლუცია
- 1971 წლის VIII -ე საერთაშორისო სესია;
- 1974 წლის XII -ე საერთაშორის სესია;

- 1976წლის გაეროს რეზოლუცია;
- 1988 წლის 13 ივლისის 52/250-ე რეზოლუცია;
- 1988 წლის 6 დეკემბრის 43/54 -ე რეზოლუცია
- 1993 წლის ოსლოს შეათანხმება;
- 1991 წლის მადრიდის სამშვიდობო კონფერენცია;
- 2016 წლის 2334-ე რეზოლიცია.[60]

ყოველი ზემოთ ჩამოთვლილი მიმართულია კონრფლიქტის მშვიდობიანი მოგვარებისავის.

დარღვეული უფლებები

არა მხოლოდ პალესტინა-ისრაელის კონფლიქტში,არამედ ყველა კონფლიქტში ხდება ადამიანის უფლებების დარღვევა,მათ შორის ყველაზე მნიშვნელოვანია ,,სიცოცხლი უფლება''.

ადამიანის უფლებების დაცვა ხდება არაერთი საყოველთაოდ აღიარებული დეკლარაციით,მათ შორის:

ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია

მუხლი 3 - ,,ყველა ადამიანს აქვს სიცოცხლის ,თავისუფლებისა და პირადი ხელშეუხებლობის უფლება''[61],

ევროპის კონვენცია ადამიანის უფლებათ და ძირითად თავისუფლებათ დაცვის შესახებ

ნაწილი I

მუხლი-2 სიცოცხლის უფლება;

მუხლი-5 თავისუფლებისა და უსაფრთხოების უფლება.[62]

[60] Un.org.ge
[61] ლობჟანიძე გ.ადამიანის უფლებათა სამართალი თბ.2005.გვ.405

სიცოცხლის უფლების დარღვევასთან ერთად ირღვევა ტერიტორიული უზენაესობა,(ტერიტორია არის დედამიწის ზედაპირის ის ნაწილი ,რომელიც მოცემული სახელმწიფოს სუვერენიტეტის ქვეშ იმყოფება. [63])საჰაერო სივრცე,(საერთაშორისო საჰაერო სამართლის ძირითადი წყაროა ჩიკაგოს 1994 წლის კონვენცია [64])ამ უფლებებს თითქმის საუკუნეების მანძილზე არღვევს ორივე დაპირისპირებული მხარე,როგორც ისრაელი ასევე პალესტინა და ყველაზე აქტიური მხარე ,,ჰამასი''.

ადამიანის უფლებათა სამართალში გვაქვს არაერთი ძალზედ მნიშვნელოვანი თავი,რომელიც ეხება ადამიანის უფლებების დაცვას საომარი მდგომარეობის დროს.

კაცობრიობა გასული საუკუნის დასასრულს და ახალი ათასწლეულის დასაწყისს სერიოზული პრობლებით შეხვდა.მსოფლიოს მრავალ კუთხეში გაჩნდა ახალი საერთაშორისო და არასაერთაშორისო საომარი კერები,რომლებიც წარმოიშვნენ იმპერიის დაშლის,ექსტრემისტული,ნაციონალური,რელიგიური და სხვა მოტივებით.ერთ-ერთ ძირითად მიზეზად ,შექმნილიყო საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი,როგორც საერთაშორისო სამართლის დამოუკიდებელი დარგი,ზემოთ აღნიშნული მოვლენებიც უნდა მივიჩნოთ.იგი მოიცავს ყველა საერთაშორისო ხელშეკრულებას,კონვენციებსა და სხვა სპექტებს,რომელიც ეხება ადამიანის ბედს შეიარაღებულ კონფლიქტებში.მართალია ჩვეულებები და კანონები მაქსიმალურად ზღუდავენ ომის დაწყების შესაძლებლობას,მაგრამ დღევანდელ მსოფლიოში არ არსებობს ომის დაწყების შესაძლებლობის გამომრიცხავი სრული გარანტიები.ამიტომ,ამ პრობლემის ამსახველი კონვენციები საერთაშორისო სამართლის არეალში XIX საუკუნის შუა წლებიდან ჩნდება და ასეთია მათი ჩამონათვალი ქრონოლოგიურად:

- პარიზის 1856 წლის დეკლარაცია საზღვაო ომის შესახებ;
- 1868 წლის სანკ-პეტერბურგში მიღებულ იქნა დეკლარაცია,ომის დროს ზოგიერთი სახის ჭურვის გამოყენების აკრძალვის შესახებ;

---

[62] ლობჟანიძე გ.ადამიანის უფლებათა სამართალი თბ.2005.გვ.414
[63] ალექსიძე ლ.თანამედროვე საერთაშორისო სამართალი.თბ.2015,,იურისტების სახლი''.გვ.318
[64] ალექსიძე ლ.თანამედროვე საერთაშორისო სამართალი.თბ.2015,,იურისტების სახლი''.გვ.364

- 1899 წელს,29 ივლისს ჰააგაში მიიღეს დეკლარაცია ისეთი ტყვიების აკრძალვის თობაზე,რომელიც ადვილად ბრუნავს და ბრტყელდება ადამიანის ორგანიზმში;
- 1907 წლის 18 ოქტომბერს მიღებულ იქნა სახმელეთო ომის კანონიერებისა და ჩვეულებებისადმი მიძღვნილი კონვენცია და დებულება;
- 1925 წლის 17 ივნის ჟენევაში მიღებულ იქნა ოქმი ომში მხუთვი,ტოქსიიკური და სხვა მსგავსი მხუთავი აირებისა და ბაქტერიოლოგიური საშუალებების გამოყენებისა და აკრძალვის თობაზე;
- 1948 წლის 9 დეკემბრის კონვენცია გენოცდის ,როგორც საერთაშორისო დანაშაულის შესახებ;
- 1949 წლის 12 აგვისტოს ჟენევის კონვენცია ჯარში დაჭრილთა მდგომარეობის შესახებ;
- 1954 წლის 14 მაისის ეხება შეიარაღებული კონფლიქტის პირობებში კულტურულ ფასეულობათ დაცვის საკითხებს;
- 1972 წლის 10 აპრილის კონვენცია ეხება ბიოლოგიური იარაღის წარმოების,დაგროვების და გამოყენების აკრძალვას;
- 1976 წლის 10 დეკემბრის კონვენცია ლაპარაკობს ბუნებრივ გარემოზე ზემოქმედების მქონე ტექნიკის სამხედრო ან სხვა მიზნებისათვის გამოყენების აკრძალვაზე;
- 1977 10 ოქტომბრის კონვენცია ეხება შეიარაღების აკრძაკვასა და შეზღუდვას;
- 1990 წელს ჟენევაში მიღებული სამხედრო მოქმედებათა მართვის საერთაშორისო სამართლი.

ზემოდ ჩამოთვლილი კონვენციები ცდილობს როგორმე დაარეგულიროს ყველა კონფლიქტი,მათ შორის ისრაელი-პალესტინის დაპირისპირება.[65]

[65] ლობჟანიძე გ.ადამიანის უფლებათა სამართალი თბ.2005.გვ.274-276

დასკვნა

ნაშრომში, ,,ისრაელი-პალესტინის საერთაშორისო ურთიერთობების თანამედროვე პოლიტიოკური და საერთაშორისო სამართლებრივი ასპექტები'',განხილულია ყველაზე ფართომაშტაბიანი და დაუსრულებელი კონფლიქტი.ისრაელის სახელმწიფომ ბევრი წინააღმდეგობა გაიარა და კვლავ გადის ამ ნაბიჯებს,მისი დამოუკიდებელ სახელმწიფოს გამოცხადებიდან დღემდე.

პალესტინა -ისრაელს შორის კონფლიქტური სიტუაცია განაპირობა,პალესტინის არაბული სახელმწიფოს შექმნამ,რამაც გამოიწვია პალესტინის ადმინისტრაციისა და ისრაელს შორის დაპირისპირება.ამ კონფლიქტს ღრმა და ისტორიულიი ფესვები აქვს დღევანდელი მსოფლიოსათვის.

ჩვენს მიერ განხილულ თემაზე,შესაძლებელია კიდევ უფრო ღრმა და კონკრეტული კვლევა,რომელსაც სამაგისტრო ნაშრომის ფარგლებში ვერ განვავითარებდით.ნაშრომი შედგება ანოტაციის,შესავლისა,სამი თავისა და დასკვნისაგან.დართული აქვს გაეროსა და ევროკავშირის მიერ მიღებული რეზოლუციები და აქტები.ანოტაციაში ახსნილია საკითხის აქტუალურობა,მიზანი,შესწავლის ისტორიული ფესვები და ამოცანები.

პირველ თავში მიმოხილულია,ისრაელი-პალესტინის ისტორიული და პოლიტიკური ურთიერთობები.როგორი ისტორიული წარსული ჰქონდა როგორც ისრაელს ,ასევე პალესტინას,როგორია ,მათი სახელმწიფოების წარმოშობისა და ჩამოყალიბების ისტორია,პოლიტიკური ურთიერთობები და დამოკიდებულება მეზობელ სახელმწიფოებთან,ტერიტორიული საზღვრები და დემოგრაფიული მდგომარეობა.

პოლიტიკურ ურთერთობებში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია,მეზობელ დამპყრობელ სახელმწიფოებთან დამოკიდებულება:ეგვიპტესთან,სირიასთან,თურქ-სელჩუკებთან,ჯვაროსნებთან მიმართებაში.ისრაელს სამშვიდობო ხელშეკრულება აქვს გაფორმენული ეგვიპტესთან და იორდანიასთან.

რას მოიცავს და გულისხმობს ერთა ლიგის მიერ პალესტინაზე ბრიტანეთის მანდატი,რომლის მიზანი, ,,ებრაული ხალხის ეროვნული სახლის'' შექმნა იყო.

მეორე თავში მიმოხილულია,კონფლიქტის აქტიური მხარეები:ღაზის სექტორი და ჰამასი.

თავდაპირველად ვისი მმართველობის ქვეშ იმყოფებოდა ღაზის სექტორი,რომელიც 1948 წელს არაბულმა ლიგამ დაარსა.1994 წელს ისრაელმა პალესტინის ეროვნული ადნიმისტარაციის ღაზაზე თვითმართველობის უფლება გადასცა.მანამდე კი ღაზა ჯერ ისრაელს,უფრო ადრე ეგვიპტეს,კიდევ უფრო ადრე კი დიდ ბრითანეთს და თურქეთის სამხედრო ოკუპაციის ქვეს იმყოფებოდა.როგორც უშიშროების საბჭოს 1860-ე რეზოლუცია,რომლის მიხედვითაც ღაზა წარმოადგენს ოკუპირებული პალესტინის ტერიტორიის განუყოფელ ნაწილს,როგორც ეს გათვალისწინებულია ოსლოს შეთანხმებასა და გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციებში.

ჰამასის,როგორც პალესტინის სუნიტურ-ისლამისტური ფუნდამენტალური მოძრაობის დამოკიდებულება ისრაელთან,რომლის მიზანია პალესტინის გათავისუფლება ისრაელის ოკუპაციისაგან და დასავლეთ სანაპიროზე ისლამური რესპუბლიკის შექმნა.ჰამასი ტერორისტულ ორგანიაციადაა მიჩნეული ევროკავშირის,კანადის,აშშ-ს და ისრაელის მიერ,მისი ტერორისტული აქტებისა და თვითმკვლელი აფეთქებების გამო.ამ თავში განხილულია თუ რითაა განპირობებული ჰამასის აქტიურობა პალესტინის არაბულ,ისლამურ და საერთაშორისო დონეზე,როგორ მუშაობს ახალაზრდდებში,სტუდენტებსა და საზოგადოების სხვადასხვა სეგმენტში.ჰამასის იდეოლოგიის მიხედვით,პალესტინი არის ისლამის სამშობლო,იგი არასოდეს ჩაბარდება მუსლიმებს და ომი პალესტინელი ხალხის რელიგიური მოვალეობაა.

როგორია ინდიფატას განვითარების ეტაპები.პირველი ეტაპი რომელიც დაიწყო 1987 წლის 9 დეკემბერს და მეორე ეტაპი 2000 წლის 29 დეკემბრიდან და როგორია სიკვდილიანობის რაოდენიბა ინდიფატაში,რომელიც ცხრილში გვაქვს ასახული.

ისრაელ-ჰამასის კონფლიქტი,რომელმაც უკანასკნელ პერიოდში მსოფლიო საზოგადოების ყურადღება მიიპყრო.ეგრეთ წოდებული ,,ტყვიების წვიმა'',რომელსაც ისრაელი აწარმოებდა ღაზის სექტორში ტერორისტულ დაჯგუფება ,,ჰამასის'' წინააღმდეგ.ჰამასი არ შეეგუა ისრაელის,როგორც სახელმწიფოს აღიარებას და კიდევ უფრო გაამძაფრა დაპირისპირების მორიგი ტალღები.

მესამე თავში მიმოხილულია,ისრაელ-პალესტინის პოლიტიკური და სამართლებრივი მხარეები.რა გახდა კონფლიქტის მიზეზი,რომელსაც ,,ახლო აღმოსავლეთის კონფლიქტს'' უწოდებენ,მისი მასშტაბებიდან გამომდინარე.

ისრაელის შექმნა მეორე მსოფლიო ომის დამთავრებიდან სამი წლის შემდეგ პალესტინის ტერიტორიის ნაწილზე ,რომელიც 1948 წლის მაისამდე ინგლისის სამანდატო მმართველობის ქვეშ იმყოფებოდა.1947 წლის ნოემბრის ბოლოს გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ მიიღო გადაწყვეტილება პალესტინაში ორი დამოუკიდებელი-არაბული და ებრაული სახელმწიფოს შექმნის შესახებ.სწორედ აქედან დაიწყო ეს სისხლიანი და ფართომასშტაბიანი დაპირისპირება ამ ორ სახელმწიფოს შორის.პალესტინა და ეროვნულ -განამანთავისუფლებელი ორგანიზაცია ,,ჰამასი'' ამ გადაწყვეტილებას არ შეეგუა,რამაც განაპირობა რიგი შეტაკებების სერია.

არაბული სამყაროსათვის მიუღებელი აღმოჩნდა,მათ შორის ებრაული სამყაროს გაჩენა.ამასთანავე,არაბული სამყაროს გაღიზიანება და ნეგატიური განწყობა გამოიწვია ,,ისრაელის დამოიკიდებლობის დეკლარაციამ'',რომლის თანახმადაც ისრაელი ცხადდება არა მხოლოდ ებრაულ,არამედ ,,სიონისტურ სახელმწიფოდ'',ანუ მთელი მსოფლიოს ებრაელთა სახელმწიფოდ.

კონფლიქტში მნიშვნელოვან და გადამწყვეტ როლს ასრულებს საერთაშორისო ორგანიზაციები,მათ მიერ მიღებული რეზოლუციები,დადგენილებები და საერთაშორისო სამართლებრივი რეგულირების აქტები დაწყებული 1947 წლის 181-ე რეზოლუციიდან დამთავრებული 2016 წლის 2334-ე რეზოლუციით,რომელიც არეგულირებს ისრაელი-პალესტინის კონფლიქტს.

როგორია ,,საგზაო რუკის''პირობები და მისი ეტაპები

I -ეტაპი რომელიც დაიწყო 2000 წლის 28 სექტემბრიდან და გულისხმობს ტერორისა და ძალადობის შეწყვეტას;

II -ეტაპი დაიწყო 2003 წლის ივნისი-დეკემბერში და გულისხმობს, ,,საგზაო რუკის'' პირობების შესრულებას და მონიტორინგს;

III -ეტაპი 2004-2005 წლებში და მოიცავს განხორციელებული რეფორმების გამყარებასა და პალესტინური ინსტიტუტების სტაბილიზაციას.

სამხედრო იერიშების დანხორციელების ეტაპები და მსხვრეპლის რაოდენობა 2010 წლიდან დღემდე.2019 წლის 6 მაისის თავდასხმა იყო ყველაზე ფართომაშტაბიანი 2014 წლის შემდეგ.ღაზის სექტორიდან ისრაელის მიმართულებით გასროლილ იქნა 690 რაკეტა,საპასუხოდ ისრაელმა ისლამური ჯიჰადის მიმართულებით გაისროლა 350 რაკეტა,დაიღუპა ისრაელის 4 მოქალაქე და 23 პალესტინელი.

კონფლიქტის შემდგომ ჩამოყალიბდა ეგრეთ წოდებული ებრაული ახალშენები და გაჩნდნენ პალესტინელი ლტოლვილები.მათი რიცხვი დაპირისპირებასთან ერთად იზრდება და ფართოვდება.

როგორც პალესტინა- ისრაელის,აგრეთვე,ნებისმიერ კონფლიქტს თან ახლავს რიგი უფლებების დარღვევა,რომელთაგან უმთავრესია ,,სიცოცხლის უფლება''.ხდება ტერიტორიის უზენაესობის,საჰაერო სივრცის,კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარების ძიების გვერდის ავლით მოვლენების განვითარება.

დასასრულს გვინდა ავღნიშნოთ,რომ ნაშრომი ეხება ისრაელი-პალესტინის საერთაშორისო ურთიერთოებების თანამედროვე პოლიტიკურ და საერთაშორისო სამართლებრივ ასპექტებს.ამ საკითხის შეფასება,პრობლემატიკიდან გამომდინარე აქტუალურია და მოიცავს მთელ სამყაროს.საერთაშორისო ორგანიზაციები კონფლიქტის დაწყების პირველივე ეტაპიდან ცდილობენ და დღემდე ყველა ხერხს ხმარობენ კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარებისათვის.საჭიროა მათი როლის უფრო გააქტიურება,რადგან პალესტინა-ისრაელის დაპირისპირებას არ უნდა ჰქონდეს ასეთი ფართომაშტაბიანი გამოხატულება და ღრმა ისტორიული ფესვები.უნდა შეთანხმდეს ეს

ორი დაპირისპირებული მხარე და დაიწყონ ახალი ეტაპი მშვიდობიან გარემოში თანაცხოვრებისა,რომელმაც ღრმა იარები დაასვა პირველ რიგში მის მოსახლეობას.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ალექსიძე ლ.თანამედროვე საერთაშორისო სამართალი,,იურისტების სამყარო''თბ 2015წ.

2. გაჩეჩილაძე რ. ,,ახლო აღმოსავლეთი:სივრცე ხალხი და პოლიტიკა'' თბ.2008წ.

3. ლობჟანიძე გ.ადამიანის უფლებათა სამართალი თბ.2005წ.

4. მენთეშაშვილი ზ.ახლო და შუა აღმოსავლეთი.თბ.2002წ.

5. მაღრაძე მ.გელაშვილი ა.სისაური ვ.,,ტერორიზმი და ფაქტები,რომლების მოქმედებენ პიროვნების ტერორისტად ჩამოყალიბებაზე'' მონოგრაფი თბ.2016

6. ჟღენტი კ.პალესტინა და პალესტინელები ,,ნაკადული'' თბ.1986წ.

7.ღისრიაშვილი ლ. ისრაელი-პალესტინის კონფლიქტი:ორი ერი, ერთი მიწა.2003წ

ინტერნეტ რესურსი

1.www.un.org.ge

2. www.palestinecanter.org

3. www.state.gov

4. https://www.unrwa.org/where-we-work.

5. www.nplg.gov.ge/wikidict/index.php

6. On the move,,tino''

7. Monthly Bulletion of Statistics for Population

8. General assembly votes overwhelmingly to accord palestine,,non-member observer state''status in united nations

9. En Heades of missions report on gaza 2013

10. Egypt Israel Armistice Agreement Un Doc 9/1264/cort 123 Februal 1949

11. Arab –Israeli Aircraft Losses

12. EU Heads of Misions reporton Gaza 2013

13. www.Palestina unity government of Fatach and Humans sworn.in/world news/theguardion.com

14. intermedia.ge

15. www.vox.com

16. www.britannica.com

17. www.btselem.org.first-indifada-tables

18. www.parlament.ge ৬

19. www.academia.edu.

20. http://www.parliament.ge

21. https://www.militarium.org/israeli-vs-palestina/

22. https://www.un.org/press/en/2016/sc12657.doc.htm

23. old.itv.ge.projects>analytics

24. https://1tv.ge/analytics/gadadebuli-mshvidoba-israel-palestinis-konfliqti/

25. www.tspress.ge

26. s://www.amerikiskhma.com/a/a-54-2009-11-22-voa5-93126349/525791.htm

27. https://www.amerikiskhma.com/a/israeli-stikes-kill-hamas-leader/1546467.html

28. http://24blog.ge/news/story/43479-israelma-ghazas-seqtorshi-sakhmeleto-operatsia-daitsyo

29.http://www.tabula.ge/ge/story/86282-ap-29-ivlisis-saomari-qmedebebis-shedegad-daghupulia-100-palestineli

30. http://www.tabula.ge/ge/story/132688-ghazas-seqtorshi-israelis-armiastan-dapirispirebisas-28-palestineli-daighupa

31.https://1tv.ge/news/israel-ghazas-sazghvarze-faqtebis-gamosadzieblad-gaero-s-adamianis-uflebata-sabchom-komisia-sheqmna/

32. imedinews.ge

33.http://www.tabula.ge/ge/story/135657-israelma-ghazas-seqtorze-sahaero-tavdasxma-ganaxorciela-daighupa-3-adamiani

34.http://www.tabula.ge/ge/story/135657-israelma-ghazas-seqtorze-sahaero-tavdasxma-ganaxorciela-daighupa-3-adamiani

35. http://www.tabula.ge/ge/story/148241-hamasis-tqmit-egviptis-shuamavlobit-israeltan-cecxlis-shetskvetis-shetanxmeba